წელიწადი მეორე ფასი 5 კაპ. სამშაბათი, 15 მარტი 1916 წ. № 59

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივ ასოებით პირველ გვერდზე სტრიქონი 15 კ., უკანასკნელზე 10 კ., გაზეთის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**უპრემიოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ.

გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.

**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

სასტუმრო „ავრორა“

ახლად შეკეთებული, მდიდრულად მორთული ნომრები.

უაღრესი სიფაქიზე. ელექტრონის განათება

ქალაქის შუაგულში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად

ნომრები ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებშია.

თვიურ მდგმურებს ფასდაკლებით ეთმობათ.

სასტუმროსთან მოწყობილია სამზარეულო, ვანები თბილი და ცივი წყლით.

თბილისი, მიხეილის ქუჩა № 5. ტელეფონი 12—85.

(წ.—)

კვირას, 13 მარტს, თბილისში გარდაიცვალა

## ალექსანდრა კონსტანტინეს ასული კვირიკაშვილისა

რასაც უგულითადესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ-მეგობართ განსვენებულის გულმოკლული **მეუღლე პეტრე პავლეს ძე, დედამთილი სალომე დავითის ასული და მაზლი ვასილ პავლეს ძე კვირიკაშვილები.** პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე (საბურთალოზე საკუთარი სახლი) გამოსვენება ოთხშაბათს, 16 მარტს, დილით ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში; დაკრძალვა იმავ დღეს პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

(1—127—1)

პირველი წელი პირველი წელი

„საქართველო“-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან სამ თვეში ერთხელ გამოვა

კაზმული და სამხატვრო კრებული

„მ ე რ ა ნ ი“

**კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი.** ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ეღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.

ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.

**გაზეთ „საქართველო“-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მ ე რ ა ნ ი“ უფასოდ დაურიგდებათ.**

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი,** 12 მარტი. **ოფიციალი. დასავლეთი ასპარეზი.** რიგის ფრონტით ზარბაზნების და თოფის სროლაა. იაკობშტადტის მიდამოებში ჩვენი ჯარი განაგრძობს წინსვლას სამხრეთ-აღმოსავლეთით ავგუსტენგოფიდან. ცხარე ბრძოლის შემდეგ ჩვენ ავიღეთ გამაგრებული ადგილები ეპიკნის მიდამოებში, რის შემდეგაც ჩვენ გერმანელთა რამდენიმე კონტრ-იერიში მოვიგერიეთ. იაკობშტადტის მიდამოების მარცხნით, სამხრეთით ლივენგოფიდან, დაიწყო ბრძოლა. დვინის ფრონტით განაგრძობს ჩვენი ჯარი წინ სვლას და დაჭერილ ადგილებს ამაგრებს. ჩრდილოეთით ვიდზის მიდამოებიდან ჩვენმა ჯარმა იერიში მიიტანა ჩრდილო-დასავლეთით სეკლის ტბიდან. მიუხედავად მტრის ძლიერი ცეცხლისა, ჩვენმა ჯარმა მოსპო მტრის რამდენიმე ხელოვნური სიმაგრე. პოსტავის ჩრდილო-დასავლეთით მტერმა ნამქერით ისარგებლა და დაიწყო დაშლილ სიმაგრეების შეკეთება, მაგრამ ჩვენმა ზარბაზნის სროლამ მათ ხელი შეუშალა. სამხრეთით პოლესიდან და მის მიდამოებში ზარბაზნის სროლამ მკაცრი ხასიათი მიიღო. გალიციაში ცვლილება არ მომხდარა.

**შავი ზღვა.** ჩვენმა ნაღმოსნებმა ანატოლიის ნაპირებთან 16 ხომალდი დაღუპეს.

**კავკასიის ასპარეზზე** ჩვენი წინსვლა გრძელდება.

**პეტროგრადი** 13 მარტი. **ოფიციალი. დასავლეთი ასპარეზი.** რიგის რაიონში გერმანელთა არტილერიამ ცეცხლი გააჩინა შლოკის მიმართულებით, განსაკუთრებით ხიდის რაიონისკენ. იაკობშტადტის მიდამოებში გერმანელები იერიშით წამოვიდნენ. მაგრამ უკუგდებულ იქმნენ. სხვა და სხვა ადგილებში მკვირცხლი საარტილერიო სროლაა. პოსტავის ჩრდილო-დასავლეთით და ნაროჩ-ვიშნევის ტბების შუა მკაცრი ბრძოლაა. დვინსკის დასავლეთით რუსებმა ერთი თხრილი აიღეს. დანარჩენს ფრონტზე პოლესიემდე ადგილ-ადგილ ძლიერი სროლაა. კარპილოვკის სამხრეთით გერმანელები სცდილობდენ იერიშით წამოსვლას, მაგრამ რუსებმა თოფის სროლით გაჰფანტეს. გალიციაში ავსტრიელებმა ერთგან იერიში მიიტანეს, მაგრამ აქაც უკუგდებულ იქმნენ.

**კავკასიის ასპარეზი.** ჰოროხის რაიონში რუსები ენერგიულად სდევნიან ოსმალთა რაზმებს. ბევრგან თხრილებიდან ამოჰყარეს. ქალ. ბითლისის სამხრეთ-აღმოსავლეთით რუსებმა საკმაოდ წინ წაიწიეს.

---

**პარიზი.** 11 მარტი. საღამოს ოფიციალი ცნობა. არგონებში, ჩვენი ნაღმის აფეთქების შემდეგ, მტერი იერიშით წინ წამოვიდა და ერთ ხანს პირველი რიგის თხრილები დაიჭირა, მაგრამ ჩვენ კონტრ-იერიშებით განვდევნეთ და 80 ტყვეც წამოვიყვანეთ. ჩვენი ზარბაზნების მოქმედება იმავ სიძლიერით სწარმოობს აღმოსავლეთით არგონის და მალანკურ და ავაკურის გზებ შუა. ვერდენთან, ჩრდილოეთით, მთელი დღის განმავლობაში შესანიშნავი არა მომხდარა რა, გარდა იმისა, რომ დასავლეთით და აღმოსავლეთით მაასიდან დრო გამოშვებით ზარბაზნებს უშენდნენ მეორე ხაზის სიმაგრეებს, რაზედაც ჩვენებიც პასუხს აძლევდნენ. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით სენ-მიელიდან ჩვენმა შორ-მტყორცნელმა ზარბაზნებმა კარგი შედეგი მოგვცა სადგურ ვინელთან: ანგარი დაანგრია და სადგურთან მდგომი ერთი მატარებელი ააფეთქა.

**პარიზი,** 12 მარტი. საღამოთი მოსული ცნობა. არგონებში ძლიერი სასაარტილერიო სროლა იყო ფურ-დე-პარის მიდამოებთან, კურტშოსესთან და ოტშევოშესთან. ასეთივე ძლიერი სროლა იყო მაასის დასავლეთით ჩვენს თხრილთა მეორე ხაზზე პუავრისა და დეუმონის რაიონებში, აგრეთვე ვევრში ,კოტდემნეჰში. მთელი დღის განმავლობაში ქვეითი ჯარს იერიშები არ მოუტანია. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

**ლონდონი,** 12 მარტი. გენერალი ტაუნსენდი იუწყება, კუტ-ელ-ამართან ოსმალებმა ჰაეროპლანებიდან დაუშინეს ჩვენს ჯარებს. 8—10 მარტს ინგლისელთ დიდი ზარალი არ მოსვლიათ. საზოგადოდ მდგომარეობა უცვლელია.

**პარიზი,** 13 მარტი. დღის ცნობა. მდ. მაასის დასავლეთით მთელი ღამის განმავლობაში მკაცრი ზარბაზნის სროლა იყო მალანკურ-ენის მიდამოებით „304“ მაღლობთან. მაასიდან აღმოსავლეთით სიმშვიდე იყო. ვევრთან ზარბაზნები ახმაურდნენ. ლაპრეტრის ტყეში მტერი ორჯელ თავს დაგვესხა კრუა-დე-კარმთან, მაგრამ თოფის სროლით მოვიგერიეთ. მტერმა დაიხია, მინდვრად დასტოვა დახოცილები. სურსათის ურმებს ვოგეზებში ზარბაზნები დაუშინეთ ვიტვილერთან. სხვა ადგილებში შესანიშნავი არა მომხდარა რა. ღამე 12 მარტს, ორმა ჩვენმა მფრინავმა ნანტილუა და მონფოკონში 16 დიდი ზომის ყუმბარა ჩამოაგდო.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ინგლისელთა გემის დაღუპვა.**

ლლოიდი იტყობინება: ინგლისის ჩაძირულ გემზე „პულმარზე“ 18 კაცი დაიღუპა.

ამათივე ცნობით დაუღუპიათ დანიის გემი „ქრისტიან-ზუნდი“, მგზავრები გადარჩნენ. გარეშე საქმეთა მინისტრის ცნობით ეს გემი ლამანშში ნაღმს დასჯახებია.

**ავსტრიელები ალბანეთში.**

„Ihdependance Roumaine“ აღნიშნავს: კევესის აღების შემდეგ ალბანეთში მოქმედება შეჩერდა. იტალიელები ბრძოლის შემდეგ ვალონიდან 35 ვერსის მანძილზე შეჩერდნენ და ავსტრიელების მოსაგერებლად ემზადებიან, მაგრამ უკანასკნელნი ჯერ-ჯერობით არ განაგრძობენ წინ სვლას.

**ჰაერში ბრძოლა.**

გერმანეთის შტაბი იტყობინება: მაასის ორთავ ნაპირებზე ჰაერში ბრძოლა ხდება. გერმანელმა მფრინავებმა მოკავშირეთა რამდენიმე ჰაეროპლანი ძირს ჩამოაგდო.

**დედე-აგაჩი.**

წარსულ კვირას ფრანგების ჰაეროპლანთა ფლოტილია თავს დაეცა დედე-აგაჩს, სადაც დაბანაკებულ ჯარში ყუმბარები ჩამოყარეს. მრავალია დაჭრილი და დახოცილი, აგრეთვე მრავალი შენობებია დანგრეული.

**გერმანეთს დასავლეთ ასპარეზზე ჯარი გადაჰყავს.**

უკანასკნელ ხანებში გერმანელებმა ბალკანეთიდან დასავლეთ ასპარეზზე 130 სამხედრო მატარებლით მაშველი ჯარი გადაიყვანეს.

**პორტუგალია.**

„Petit Paris“ იუწყება: პორტუგალიის მთავრობამ გადასწყვიტა, გერმანელები, რომლებიც პორტუგალიაში არიან, დაატყვეონ და ერთ ალაგას მოათავსონ.

**რას ფიქრობენ გერმანელები ვერდენთან.**

როგორც გაზეთი „Humanite“ გადმოგვცემს, გერმანიის მთავარ შტაბს დიადი გეგმა ჰქონია ვერდენთან, რომელსაც შეეძლო ბოლო მოეღო თანამედროვე ომისათვის. გერმანელებს აზრად ჰქონიათ გაერღვიათ ფრანგების ჯარის ხაზი ვერდენთან, დაეყოთ ფრანგების ჯარი ნაწილ-ნაწილ და შემდეგ შუაში მოემწყვდიათ. მაგრამ ეს გეგმა ვერ შეასრულეს.

**ინგლისის დანაკლისი.**

ინგლისის სამხედრო სამინისტრომ გამოაცხადა მეომართა დანაკლისი უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში. ამ რაოდენობაში შედის დახოცლნი დაჭრილნი, ტყვეები და უკვალოდ დაკარგულები. ქრისტესშობისთვეში 1915 წ. დანაკლისია 885 აფიცერი და 13,686 ჯარისკაცი, იანვარში (1916 წ.)—1,011 აფიცერი და 17,675 ჯა-

## განცხადება

იმ ხელშეკრულობის ძალით, რომელიც 1916 წ. 24 თებერვალს დაიდო **ამიერ კავკასიის საოლქო სამხედრო-სამრეწველო კომიტეტსა და ინჟენერ ივანე სერგეის ძე პონდოევის შორის**, მისი საწყობიდან, რომელიც მოთავსებულია თბილისში ელისაბედის ქუჩაზე № 127 და 164, იძლევიან თავდაცვისათვის საჭირო ყოველგვარ რკინეულობას და სხვა საამშენებლო მასალას პირობის წერილში განსაზღვრულის ნიხრით.

ყოველგვარ ცნობებისა და მასალის მისაღებად უნდა მიჰმართონ სამხ. სამრ. კომიტეტის სამექანიკო განყოფილების კანტორას, ელისაბედის ქუჩა № 184

(10—120—6)

ვაგზლის საავადმყოფოში

(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)

საავადმყოფოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.

აგრეთვე ექიმი—ქალი **მარ. კონ. იოსელიანისა** მიიღებს **დედათა სნეულებით** ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.

(თ.—126—1)

(პარკი) „ქისეტი“ (პარკი)

**სააღდგომო საჩუქარი კავკ. ჯარის მეომრებისათვის.**

კავკასიის არმიის მთავარ-სარდლის უავგუსტოესმა მეუღლემ

**მისმა იმპერატორობითი უმაღლესობამ, დიდი მთავრის**

**ნიკოლოზის ასულმა ანასტასიამ**

**იკისრა მზრუნველობა სააღდგომო საჩუქრების „ქისეტების“ დასამზადებლად და გასაგზავნად კავკასიის არმიის მხნე ჯარის-კაცებისათვის.**

კავკასიის მკვიდრთ, რომელთაც უყვართ თავისი ჯარი და ამაყობენ მისი სასახელო გამარჯვებით, მოუწოდებენ, გამოიღონ წვლილი ამ კეთილი საქმის მოსაწყობად.

ქრისტეს აღდგომას ბედნიერ დღეს ჩვენს გმირს—მეომრებს დიდად გაახარებს სამშობლოდან მიღებული მისალოცი, როგორც ნიშანი სიყვარულისა და მზრუნველობისა.

ნურავინ მოერიდება შემოწირულობის სიცოტავეს. ყოველს შემოწირულებას, სულ მცირესაც დიდის მადლობით მიიღებენ.

შემოწირულებად მიიღება: ცხვირსახოცები, ყარანდაშები, ფოსტისა და პაპიროზის ქაღალდი, თამბაქო, წუმწუმა, შაქარ-ყინული და სხვა ტკბილეულობა.

შემომწირველთ სთხოვენ: ქისეტში მოათავსონ ყარანდაში, ცხვირსახოცი, 5 ფურც. ფოსტის ქაღალდი, 5 კონვერტი, 1/4 გირვ. თამბაქო, 2 პაპიროსის ქაღალდი, კოლოფი წუმწუმა და 1/4 გირ. შაქარ-ყინული.

ყოველგვარს შემოწირულებას მისი იმპერატორობითი უმაღლესობის დიდი მთავრის, **ანასტასია ნიკოლოზის ასულის** მინდობილობით მიიღებს ყოველ დღე 2—4 საათ. გენერალ-ლეიტენანტი **სტალი**, ერმოლოვის ქუჩა, № 9. ამავე ადრესით უნდა გამოიგზავნოს ფოსტითაც.

ქ. ბაქოში

ღვინით ვაჭრობა „მელაანი“

თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები

(112—წ.)

შეშის საწყობი

ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

ყველასთვის ხელმისაწვდომ ფასში

საკუთარი ტყიდან

საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც

(103—წ.) ტელეფონი 5—96.

საგალანტერიო მაღაზია

ერ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:

ჩულქეულობა, კოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი

(101—წ.)

საუკეთესო კახური

ღვინის საწყობი

ადამ ზურაბის ძის

ბერელაშვილისა

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.

(102—წ.)

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

**ტელეფონი,** 17—21.

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი გ. ვ. ვეფხაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

20—67—7

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

**ყ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

რისკაცი, თებერვალში—878 აფიცერი და 14,822 ჯარისკაცი. სულ ლაჰკლებით 2,774 აფიცერი და 46,183 ჯარისკაცი.

**გერმანელების მოქმედება ვერდენთან.**

გერმანელებმა ხუთშაბათს შეაჩერეს მოქმედება და დროებით იერიშები შესწყვიტეს. ფრანგთა ზარბაზნები მოქმედობდნენ არგონის აღმოსავლეთით მანანკურის და ავოკურის ტყეებთან, სადაც მტერი იკრიფებოდა ახალ იერიშების მისატანად. გერმანელებმა მეორე წყების პოზიციებს ზარბაზნები დაუშინეს და თავისი მოქმედება ჰსურთ მაასის მარცხენა ნაპირას და არგონებში გადაიტანონ, რათა მონზევილის და სუზიტის დასავლეთის მხრით მოექცეს. მტერს განზრახვა აქვს გარს შემოერტყას ციხეს, როგორც სევასტოპოლის ალყა მოხდა.

**„Tubantia"-ს დაღუპვა.**

გერმანეთის წარმომადგენლები ირწმუნებიან: იმ ადგილას, სადაც დაიღუპა გემი „Tubantia", არა ყოფილა არც გერმანეთის წყალ-ქვეშა და-არც ნაღმოსანი. იმის მიუხედავათ, რომ ამავე ცნობას ადასტურებს „ვოლფის სააგენტო", ჰოლანდიის საზოგადოებრივი აზრი, როგორც „Tubantia"-ს, ისე „Palembang"-ის დაღუპვასაც, გერმანელების წყალ-ქვეშას აწერს. ამის გამო ჰოლანდიის მთავრობამ მკაცრი კილოთი შედგენილი გულის წყრომა შეუთვალა გერმანეთის მთავრობას.

„Tubantia"-ზე მყოფნი ყველანი დაიღუპნენ გარდა ერთის მგზავრისა; იგი არის პეტროგრადის ვაჭარი ალექსანდრე ფოკსი, რომელიც ესპანიაში მიემგზავრებოდა.

**გერმანეთი და ბრაზილია.**

ლისაბონიდან იტყობინებიან: ოთხთა შეთანხმების და ბრაზილიის საელჩოებთან მრავალ-რიცხოვანი მანიფესტაცია მოხდა. ბრაზილიის ელჩმა განაცხადა: გერმანეთმა, თავისი გამოსვლით პორტუგალიის წინააღმდეგ, ვერ შეაშინა ბრაზილია; პირიქით მეტი ურთიერთობა შეჰქმნა ბრაზილიასა, პორტუგალიასა და მის მოკავშირეთა შორისო.

**ვერდენის გმირი.**

ვერდენთან მებრძოლ საფრანგეთის ჯარის უფროსად არის გენერალი ანრი-ფილიპ პეტენი. იგი დაბადებულა კოში-ა-ლა-ტურში (პადე კალე) 1856 წ. აპრილის 2-ს. მას სწავლა დაუმთავრებია სენ-სირის სასწავლებელში. პოდპორუჩიკობა 1878 წელს მიიღო, პორუჩიკობა 1883 წ. კაპიტნობა 1890 წ. ხოლო 1900 წელს საპატიო ლეგიონის ორდენით დააჯილდოვეს.

ომის ატეხისას პეტენი სამსახურიდან გამოსვლას აპირებდა, მაგრამ შარლერუასთან უკან დახევის დროს იგი პოლკოვნიკობიდან დაინიშნა ბრიგადის უფროსად, მერე დივიზიის უფროსად, კორპუსის უფროსად და ბოლოს არმიის უფროსად.

**გერმანელები ვერდენთან.**

შაბათს ვერდენთან ზარბაზნები ახმაურდნენ. როგორც ეტყობა, გერმანელები ახალ იერიშებისათვის ემზადებიან. ეს მათი მზადება ფრანგებისათვის მოულოდნელი არ იქნება და ეცდებიან ჯეროვანი პასუხი გასცენ გერმანელებს. ფრანგებს აზრად აქვთ ჯერ-ჯერობით მოიგერიონ მტერი, რათა მეტი ზარალი მიაყენოს მას, შემდეგ-კი იმედოვნებენ, მტერი წართმეულ ადგილებიდან განსდევნონ.

# უკანასკნელი ფოსტა

**ომის დასასრული.**

„Kolnische Zeitung"-ი იტყობინება: გერმანეთმა გადასწყვიტა ომს უსათუოდ ბოლო მოუღოს. გერმანელებს იმედი აქვთ დასავლეთის ასპარეზზე გამარჯვებით მიაღწიონ ამ მიზანს. გერმანელების სუმბორინებს თავისუფლად შეუძლიანთ თუნდაც ნიუ-იორკამდე გასცურონ ისე, რომ გზაში სათადარიგო სურსათის შევსება არ დასჭირდებთ.

**დვინსკთან.**

„დაგეს-ნიეტერის" სიტყვით ჰამბურგიდან ლიბავაში ორი გემით გამოგზავნეს 17 დიუმიანი ორი მორტირი დვინსკის მიდამოებისათვის.

# ბრძოლის ველზე

„უმკაცრეს ბრძოლას მოელიან მთელს დვინის ფრონტზე,"—ასე ამობს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი დღევანდელს დეპეშაში. ეს მოლოდინი დიდი ხანია ნერვებს უღიზიანებდა ორთავე მხარეს. რუსები ერთის მხრით და მეორე ნაპირზე გერმანელები ამჟამად მთელი თვეებია პირისპირ შეჰყურებენ. ერთიც და მეორეც აქ უყრიდნენ თავს საუკეთესო ჯარებს, აქ დაგროვდა საჯოჯოხეთო მასალა, რომელმაც ახლო მომავალში გლეჯა-ფლეთის საშინელება უნდა გადგვიშალოს. ყოველისფერი თავთავის ადგილზეა, მხოლოდ ნიშანს უცდიან. რა არის ერთხელ და უკანასკნელად გარდასწყვიტონ საკითხი, რამაც მთელი კაცობრიობის ძარღვები დაჭიმა და მოუთმენლობის ფიალა პირთამდე აუვსო. დღემდე აქ გროვება ძალთა მოკრების დროს ორთავე მხარე მცირედი დემონსტრაციებით კმაყოფილდებოდნენ. ამ დემონსტრაციების დროს საუკეთესო პუნქტები ჩაიგდეს, სანგრებით დაქსელეს ბრძოლის ველი ჭ აი, მოლოდინიც აცხადდა. როგორც ვიცით, გენერალი კუროპატკინი ჩრდილოეთ არმიის ხელმძღვანელად დაინიშნა და მისვლისთანავე ფართო დემონსტრაციის აფრა აუშვა. უნდა ვიფიქროთ, აფრის აშლა ისე არ ჩაივლის და მას მოჰყვება ომის საშინელი ქარიშხალი. ჯერ-ჯერობით იმის თქმა, ვითომც ეს მართლა სიგნალია რომ რუსეთი უკან აღარ დაიხევს და ბრძოლით წინ გაჰკრავს გერმანელთა განსადევნადაო, ეს კიდევ მერმისის საკითხია. მართალია, კოპენჰაგენის კორესპონდენტები ირწმუნებოდნენ ამ ფრონტიდან ბევრი ჯარი გადაიყვანეს ვერდენის ოპერაციების გასავითარებლადაო, მაგრამ ისიც მართალია, რომ აქ კიდევ საკმაო ჯარი ჰყავთ, ფრიად გამაგრებული პოზიციებით და აურებელი იარაღით, ორი მრისხანე ლაშქარი მდინარის ორთავ ნაპირებიდან საფალავნო მზადებაში არიან, ორნივე იმკლავებიან, დემონსტრაციებით გადად-გადმოდიან, საარტილერიო ქარიშხალით უპასუხებენ, მაგრამ ყველა ეს, ვიმეორებთ, მხოლოდ და მხოლოდ გაბედული ხელის ფათურია, სუსტი ადგილის საპოვნელად, რომ იმ დროს მხნე ტალღამ იქუხოს გადმოსახეთქად, რომლის შესახებ ჩვენი კორესპონდენტი გვაუწყებს ამბებს დღევანდელს დეპეშაში.

მაგრამ ამასთან შედარებით ვერდენის ოპერაცია უფრო საინტერესოა. როგორც ვიცით, ოპერაცია იგი დამწიფების უმაღლეს პერიოდშია. გერმანელებმა მდ. მაასის მარცხენა მხრას გაყოლებით ხელთ იგდეს ავოკურ-მალანკურის ხაზი. მიზანი მისი უმთავრესად ის იყო, რომ მანზევილისკენ გაჭრილიყო და აქედან ზურგით დაჰმუქრებოდა მორტომის სახელოვან პოზიციებს, სადაც უკანასკნელად გამაგრდნენ მამაცი ფრანგის ჯარები. ერთსა და იმავე დროს ამავე ხაზით გერმანელები გაიჭრნენ სოფ. ენისკენ და საგულისხმიერო პოზიციებიც ჩაიგდეს, რასაც შემდეგი ოპერაციის გასავითარებლად ფრიადი ტაქტიკური მნიშვნელობა ექმნება კიდეც. ნაყოფი ამ იერიშისა ცხადი გახდა თუნდა ფრანგთა ოფიციალი მოხსენებიდან, როდესაც სთქვეს „სოფელი მალანკური უნდა დაგვეცალა, რომ ფრონტი გაგვესწორებინაო". ასეთი „ფრონტის გასწორება" უმეტეს შემთხვევაში შემტევისათვის ტაქტიკური თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვანია და ამიტომაც არ უნდა გვიკვირდეს, თუ ვოლფის სააგენტო ამ ამბავს ბერლინელთა გასახარებლად ერთი ორად გააზვიადებდა. ამ ჟამად წინსვლა ნელის ტაქტით ხდება, საარტილერიო დუელით კმაყოფილდებიან, მეოთხე პერიოდი ბრძოლისა კიდევ შესვენებით აღნიშნა, რაიც დღევანდელი დეპეშიდანაც სჩანს, რომ აღებულს ტყეებში მელანკურისაში თუ ავოკურისაში გერმანელები ჯარებს აძლიერებენო. მაშასადამე, იმ დროს, როდესაც გერმანელთა ზარბაზანთა ჯაჭვი შტრანციდან გადმოგდებული გენერალი ეინემით დასავლეთისკენ ეხვევა. ცოცხალი ძალის რკალიც საგრძნობლად მოიწევა.

სურვილი გერმანელებისა, რომ ფრანგები გრანდიოზულ ომში ჩაითრიონ ბრძოლის საბოლოოდ გარდასაწყვეტად თითქმის ხორციელდება. გენერალისიმუსი ჟოფრის სიტყვის გამოქვეყნება დეპეშათა სააგენტოს მიერ ჰგულისხმობს სიმართლეს იმ ცნობისას, რაიც ამ ერთი კვირის წინად მოგვაწოდა დეპეშით ჩვენმა კორესპოდენტმა, ფრანგებმა გარდასწყვიტეს რეზერვები მიაშველონ ვერდენის დაცვასა. რომ მართლა ეს ფაქტად ქცეულა, სჩანს ჩვენი კორესპოდენტისავე დღევანდელი მეორე ცნობიდან: სუშესა და არასის შუა ფრანგთა ჯარების ადგილი ინგლისელებმა დაიჭირესო". ცხადია, ასეთი გაცვლა-გამოცვლა და ჯარების გადაყვან-გადმოყვანა თვით რეზერვების შესუსტებით უნდა აიხსნას. სჩანს, გენერალისიმუს ჟოფრს თუ 27 დივიზია არა, მაინც და მაინც საგრძნობელი ძალა მიუშველებია ვერდენისათვის. მაშასადამე, ციხის დაცვა თუ პირველ ხანებში ფრანგთა მიერ, არც ისე საგულისხმიერო იყო და დიდ ტაქტიკურს მნიშვნელობას [illegible] აძლევდნენ, ეხლა როლი შეცვლილა, ხალხის პსიხიკა და სამხედრო შტაბისა ერთის პულსით სცემს, ვერდენის დაცემაში ბედის საკითხის გარდაწყვეტას ჰხედავენ და მიტომაც ყოველისფერი ცულლუტ რისკზე შეუძლიათ: მამაცი ფრანგის ჯარები მით მოელიან ხსნას. გენერალი პეტინი მიტომაც გახდა პარიზელთა ახალი კერპი, ახალი სათაყვანებელი გმირთა-გმირი.

X.

## თბილისი, 15 მარტი.

**ქართველი თავად-აზნაურობა.** თავად-აზნაურობის საკრებულოს მოღვაწეობას ჩვენ არა ერთხელ შევხებივართ. ამ დაწესებულებისადმი პრესის სამდურავს თვით მოწინავე წოდების ფართო წრეც სავსებით იზიარებს და თავის მეთაურებს უმოქმედობას და ეროვნულ საქმისადმი გულგრილობას უსაყვედურებს.

დღეს ამავე საგანს ეხება თავად უხტომსკის ცნობილი გაზეთი „პეტროგრადსკია ვედომოსტი". ამ გამოცემის აზრი ჩვენს მოწინავე წოდების მოღვაწეობაზედ ჩვენთვის უთუოდ საყურადღებოა, რადგან ეს გაზეთი ისეთი მიმართულებისაა, რომ თავად-აზნაურობის ღვაწლის თუ მნიშვნელობის ახირებას ვერავინ დასწამებს. მეორე მხრით კი—ის დიდი ხანია ჩვენს ეროვნულ ცხოვრებას თვალ-ყურს ადევნებს და ცნობილ დურნოვოს კალმით ჩვენი ეკლესიის უფლებებს ჩვენზედ უკეთ ემსახურება.

ეს გაზეთი აჭარის მწარე ხვედრს უბრუნდება და უკვირს, რომ თავად-აზნაურობამ არ ააცდინა მას ეს უბედურობა, როდესაც მას ეს სავსებით შეეძლო. ერთი მანეთიც ვერ გამოძებნა მან გავერანებულ ქვეყნის აღსადგენად, როდესაც ოსმალეთიდან და სპარსეთიდან გადმოსულ სომხებს ხაზინა ასი ათასობით ეხმარებოდა. გაზეთი ჩვენს სამშობლოში ხელმწიფის მობრძანებასაც გაიხსენებს. თავად-აზნაურობის წინამძღოლმა თ-დმა კ. აბხაზმა მეფეს პირველ მისასალმებელი სიტყვით მიმართა და ამ სიტყვაში ქართველი ერის სანუკვარ სურვილებს და სულის კვეთებას სრულიად არ ჰქონდა ადგილიო. ამავე დროს თბილისის ქალაქის მოურავის ბ. ხატისოვის სიტყვაში სომხის ერის მისწრაფებანი ნათლად აღიბეჭდა. რა საოცარი სხვა და სხვაობაა თავის მდგომარეობის შეგნებასა და დაფასებაშიო, დასძენს გაზეთი. მაგრამ ესეც არის—რაც უნდა თანაუგრძნობდეს სატახტო გაზეთი ჩვენს ეროვნულ საქმეს, განა შეუძლიან მას აღნიშნულ მოვლენათა მთელი სიმძიმის და მნიშვნელობის გათვალისწინება? მას უკვირს, რომ საქართველოს დედა ქალაქში, მოწინავე წოდების წინამძღოლი ქართველ ერის სურვილებზე სდუმს და ამავე დროს კი სხვა, სხვის მიწაზედ გაბედულად თავის ერის მისწრაფებებს აღნიშნავს. გაზეთი ტრადიციებს მოიგონებს, მოწინავე წოდების უფლებებს მოიხსენებს, რომ ჩვენი აზნაურობის მეთაურთ გაუბედაობა დაუწუნოს და შესაფერ თავმოყვარეობის უქონლობა უკიჟინოს. ჩვენ კი ასეთს მოვლენებს გრძნობების, თუნდაც თავმოყვარეობის და სირცხვილის ფარგალში ვერ მოვათავსებთ. ის, რაც უცხოთათვის შეიძლება თავმოყვარეობის და გაბედულობის საკითხია, ჩვენთვის—ეროვნული საქმის უძლურებისა და დაკნინების უტყუარი საბუთია, მწარე და სამარცხვინო სინამდვილეა.

რომ რუსეთის სახელმწიფოებრივი სამართალი მოწინავე წოდებას დიდ უპირატესობებს ანიჭებს, ვინ არ უწყის. აზნაურობა ტახტთან უშუამავლოდ მეტყველებს. თვით სახელმწიფოს წყობილების შეცვლის სურვილის ტახტის წინაშე განცხადებას ამ წოდებას ძირითადი კანონებიც ვერ უკრძალავს. რას წარმოადგენს ჩვენი ცხოვრების ტკივილები, რომ აზნაურობის წარმომადგენელთ მისი დაცვა არ შეეძლოთ. ავიღოთ აჭარის ხვედრი, თუ განვლილი წლის სიმშილობა. საეჭვო არ არის მათ ბევრი მოეთხოვებოდათ და არაფერი კი არ გაუკეთებიათ. ნუ თუ ჩვენი ეკლესიის დღევანდელი მდგომარეობა მთელი ერის ერთსულოვან ზრუნვის საგნად არ უნდა გახდეს? დღევანდელ პირობებში მოწინავე წოდების მესვეურთ რამდენის გაკეთება შეუძლიანთ და რას აკეთებენ?.. თვით საქართველოს დედა-ქალაქის ეხლანდელი ვითარება, როდესაც ქართველობა თავის სახლში უფლება-აყრილ, უსიტყვო ხროდ არის მიჩნეული, განა ეს მთელი ერისთვის სამარცხვინო და დამამცირებელი მოვლენა არ არის? თუ კი რომელიმე წოდებას, ან ჯგუფს მეტი ხმა და გავლენა აქვს, ამას განა უნდა ურიგდებოდეს? თუ ქართველი თავად-აზნაურობა ეროვნულ სხეულის ცოცხალ ნაწილს შეადგენს, მთელი ერის საერთო ტკივილები მას რად არ ამოძრავებს, როდესაც მას ხელში მკვეთრი პოლიტიკური მახვილი უჭირავს. უმოქმედოდ მიგდებულს საუკეთესო ფოლადსაც ჟანგი შესჭამს.

# რუსული პრესა

„პეტრდგრადსკია ვედომოსტი" კიდევ უბრუნდება „უმწეო აჭარის" საქმეს და სწერს: აჭარლებს ოსმალეთის მიმხრობა რომ სდომებოდათ ეს თავის დროზედვე შეეძლოთ, როდესაც ჰპირდებოდნენ კეთილდღეობას და ყოველგვარ გარანტიებს და რუსის მთავრობამაც ამისთვის მათ სამი წლის ვადა მისცა. მაგრამ აჭარლებს იზიდავდა არა ოსმალეთი, არამედ მათი სამშობლო საქართველო.

ამის შემდეგ ავტორი ცოცხლად გვიხატავს ქართველ მაჰმადიანთა მიერ განცდილ უბედურებას და სწერს: ნუ თუ არც ქუთაისში არც თბილისში ვერავინ ვერ ჰბედავდა უბედურ მოძმეთათვის იმოდენა თანაგრძნობა და გულშემატკივრობა გამოეთქვა, რამდენსაც არამც თუ უბედურ მოძმეებს, არამედ საცოდავ მტერსაც კი არ დაამადლიან. მისი აზრით, ქართველმა საზოგადოებამ ვერ მოახერხა აჭარელთა ბედის მთელი ტრაგიზმის განცდა, თუმცა სრულს გულგრილობასაც ვერ ვუსაყვედურებთო. მათი თანაგრძნობა მეტად პლატონიური და პასიური იყოვო და ამავე დროს, როგორც ქუთაისში ისე თბილისში ქართველებს მოეპოებათ ისეთი ორგანოები, რომელთა მტკიცე სიტყვას და ტახტის წინაშე დასაბუთებულ შუამდგომლობას შეეძლო აჭარისთვის სირცხვილი და უბედურობა აეცდინა. საქართველოს მეთაური და მის წარსულის საუკეთესო ტრადიციების ერთგული დარაჯი—ქართველ თავად-აზნაურობის თვით მმართველობები, მათი ხმა ტახტთან მუდამ თანაგრძნობას ჰპოულობდა—და ქართველ თავად-აზნაურობასთან უმაღლესი წრეების კეთილი ყურადღება და განწყობილება არავისთვის საეჭვო არ არის.

რა გააკეთა ამ თავად-აზნაურობამ, რომ აჭარისთვის საშინელი რისხვა აეცდინა და ქართველი მაჰმადიანები საოცარ ბრალდებისაგან გაენთავისუფლებინა? თითქმის არაფერი, რატომ თავად-აზნაურობამ ვერ მოახერხა აჭარლებისთვის ერთი გროშის გამოთხოვა, როდესაც გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის დროს ასი ათასობით იხარჯებოდა ოსმალეთიდან გადმოსულ სომხების მოსაწყობად?

როდესაც ხელმწიფე იმპერატორი, ერთად-ერთი უმაღლესი მფარველი ხალხის კეთილდღეობისა საქართველოში ბრძანდებოდა, აღმოსავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობის წინამძღოლმა თ-დმა კ. აბხაზმა, თავის მისასალმებელ სიტყვაში ვერ შესძლო ქართველი ერის ტკივილები მისთვის თვალწინ გადაეშალნა. ამავე დროს თბილისის ქალაქის თავმა კი მოახერხა იმის თქმა, რაც სომხის ერის სულის კვეთებას გამოჰხატავდა. რა სავალალო სხვა და სხვაობაა თავის მდგომარეობის შეგნებისა!

თბილისის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თ-დი აბხაზი, ქუთაისის—თ-დი ნიჟარაძე ეხლა ორნივე მეფის ნაცვალთან არიან დანიშნული. ცხადია თანამედროვე გართულებულსა და პასუხსაგებ დროს იგინი წინამძღოლობის წვრილმან საქმეებისთვის ვერ მოიცლიან. აქედან ცხადია, მათ დროებით უნდა გადადგნენ თავთავის თანამდებობიდან. ასეთი საქციელით გვიჩვენებენ საუკეთესო მაგალითს იმისას, თუ როგორ უნდა იქცეოდეს ეხლა თითეული აზნაური. მათ მაგიერ აზნაურობა აირჩევს უფრო თავისუფალ პირებს, რომლებიც, ალბად გაუბედურებული აჭარის ტკივილების შეგნებასაც მოახერხებენ.

ამას შემდეგ ავტორი აღნიშნავს სახელმწიფო სათათბიროში წარმოთქმულ ჯაფაროვის სიტყვას, რომელმაც აჭარისა და ყარსის ოლქის მაჰმადიანთა დარბევისა აურებელი მასალა მოიყვანა, და დასძენს: არ შეიძლება ყოველივე „მთავრობის უმოქმედობას" მოვახვიოთ. უნდა გვქონდეს გამბედაობა დავასახელოთ თვით დამრბევლებიც, რომელი ეროვნებისაც უნდა იყვნენ.

# დეპეშები

(„საქართველო"-ს საკუთარის კორესპონდენტებისაგან).

**პეტროგრადი 13 მარტი.**

**ჩვენმა შუამდგომლობამ გასჭრა. წვრილი კრედიტის მთავარი უწყება კახეთის კავშირის საქმეს რიგის გარეშე განიხილავს ამ თვის 20—25 რიცხვებში.**

**დ. ჭიაბრიშვილი.**

---

**ცხარე ბრძოლას მოელიან დვინის მიდამოებში მთელი ბრძოლის ხაზზე.**

---

**ამბობენ, ინგლისს აღმოსავლეთ სანაპიროებზე ჯარის გადაყვანას აპირებენო.**

---

**სუშესა და არრასის შუა მყოფი ფრანგების ჯარი ინგლისის ჯარით შესცვალეს.**

---

**ებრაელების საკითხის გამო შეტანილი შეკითხვა განხეთქილებას იწვევს პროგრესიულ ბლოკში. ერობის მომხრენი და ოქტომბრისტები სამინისტროს მხარს უჭერენ.**

---

**ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობა მოსკოვში უფერულად მიდის. წინანდელი აღფრთოვანება არ ეტყობა.**

# ახალი ამბავი

✦ **სასახლეში** მეფის ნაცვალს დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს წარუდგა სადარბაზოდ საარტილერიო რაზმის სარდალი თ-დი ვაჩნაძე, რომელიც შემდეგ მიწვეულ იქმნა მეფის ნაცვლის მიერ საუზმეზე.

✦ **მეფის ნაცვლის მეუღლემ** დიდ მთავარ ანასტასია ნიკოლოზის ასულმა დაათვალიერა მიხეილის საავადმყოფოსთან არსებული წითელ ჯვრის დაჭრილ-მეომართა სამკურნალო. მათი უდიდებულესობა ემუსაიფა დაჭრილ მეომართ შემდეგ დაათვალიერა რენტგენისა და ფიზიოთერაპიული დარბაზები.

✦ **სამხედრო სესხი.** დღეს 15 მარტს ყველა სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებებში იწყება ხელის მოწერა სახელმწიფო $5^1/_2$% სამხედრო მოკლე ვადიან სესხზე.

✦ **ოქმების შედგენა.** თბილისის გუბერნატორმა გუბერნიების უფროსებს დაუგზავნა მოწერილობა, რომელშიაც იგი არ ეთანხმება იმ სისტემას, რომლითაც ეხლა სავალდებულო დადგენილებათ დარღვევისთვის სდგება ოქმები. ეს ოქმები, სწერს გუბერნატორი, ხშირად ადგილობრივ კი არ სდგება, არამედ საპოლიციო სამართველოებში, რამდენიმე ხნის შემდეგ და მოწმეებათაც ხშირად მეეზოვეები და დაბალ პოლიციის მსახურნი არიან გამოყვანილნი. ამნაირ დეფექტების ასაცდენათ გუბერნატორი წინადადებას აძლევს ყველა ოქმები სავალდებულო დადგენილებათა დარღვევის შესახებ უსათუოდ ადგილობრივ შესდგეს, რა წამს ამაზე ეცნობა პოლიციას. მოწმეებათაც უსათუოდ გარეშე პ[illegible]ნი უნდა იქმნენ მოწვეულნი, რომელთაც უფლება ეძლევათ კანონით მოწმობაზე, რათა ყველა მხრივ გამორკვეულ იქმნეს დანაშაულობანი.

✦ **ლტოლვილნი აჭარელნი.** გენერალი ლ ატყობინებს ქალაქთა კავშირს რომ ბათომის ოლქში ბრუნდებიან 50000 აჭარელი და სხვა კუთხის მცხოვრებნი ამ ოლქისა, რომელნიც ძალით იქმნენ გადასახლებულნი ოსმალეთში. ყველა ესენი შიშველნი, ჯან-მიხდილნი და დაავადებულნი არიან ასე რომ სასურსათო და სამედიცინო დახმარებაში ძლიერ საჭიროებენო.

✦ **ტრამვაი.** ქალაქის თავის მოადგილის თავმჯდომარეობით გაირჩა ტრამვაის ხარჯ-აღრიცხვა მიმდინარე წლისა. შემოსავლის ხარჯთ-აღრიცხვა უკამათოთ იქმნა მიღებული. დირექტორს ჯამაგირი ნაცვლად 6525 მ. დაენიშნა 7200 მანეთი, თანაშემწეს 3600 მანეთი ტრამვაის გზის გასუფთავება ციციანოვის [illegible] სალდათის [illegible] ქალაქს, ხოლო დანარჩენ გზებისა ქალაქის სახლის პატრონთ, ეს საკითხი საბჭოში შეაქვთ განსახილველად.

✦ **რკინის გზის მსახურთა საჩუქრები.** უფროს და უნცროს მსახურთა (გარდა განყოფილებათა უფროსებისა) დასასაჩუქრებლად მთავარ გამგეობამ გამოუგზავნა ამიერ კავკასიის რკინის გზის გამგეობას 311310 მანეთი შარშანდელზე 19000 მანეთით მეტი.

**კვერცხი.** ვინმე გ. გ. არუთინოვმა ქალაქის გამგეობას სთხოვა რიგ გარეშე დაუთმოს 12 ვაგონი კვერცხის მოსატანათ სააღდგომოდ.

✦ **ამ კვირია გასართობები** თეატრკლუბ-პროჟექტორებში აღკრძალულია.

✦ **ანდრანიკე მუშიდან.** ატყობინებს სომხურ გაზეთ „ორიზონს" რომ 5-6 ათასი კაცი მუშში დამშეულია რის გამო სწრაფი ზომების მიღებაა საჭიროო.

✦ **მსწავლულის მოსვლა.** პეტროგრადიდან თბილისში ჩამოვიდა მიწადმოქმედების სამიკოლოგო და საენტომოლოგიო მსწავლულ კომიტეტის ბიუროს მიერ გამოგზავნილი სპეციალისტი გ. ნ. დოროგინი, რომელსაც დავალებული აქვს მოახდინოს გამოკვლევანი ვაზის წამლისა მის ავადმყოფობასთან საბრძოლველად. ბ-ნი დოროგინი 13 მარტს მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტის მთავარ სპეციალისტთან ერთად მიემგზავრება კახეთს იმ ალაგების დასათვალიერებლად სადაც უნდა მოხდეს ეს გამოკვლევანი—ვაზის საწამლებლად. ამ ჟამად განზრახულია მოეწყოს ეს საჩვენებელი ცდანი სოფ. კარდენახში, გრაფ ს. დ. შერემეტევის მამულში, რომელიც აღაიანის სანერგის გამგებლობის ქვეშ იმყოფება.

✦ **ხმოსანთა არჩევნების გარშემო.** ამომრჩეველთა პროგრესიულმა ჯგუფმა მეორე საარჩევნო უბანში შემდეგი პირები დაასახელა ხმოსნებად: ნ. ი. არჯევანიძე, ვ. მ. ბარცოვი, ი. ე. გამყრელიძე, ს. ზ. გულულოვი, ა. ა. გურგენოვი, ნ. ა. დავიდოვსკი, ტ. ი. ქეფინოვი, ვ. რ. ყიფიანი, გ. მ. ლასხიშვილი, ნ. ნ. ნიკონოვი, კ. ნ. საპიცკი, გ. ვ. სარაჯიშვილი, ი. ა. თამამშევი, გ. მ. თუმანოვი, ნ. მ. ტურბოვიჩი, ი. ნ. ხუნუნცი, ე. ზ. ციგანოვი და ი. ს. ელიაშვილი.

პირველ საარჩევნო უბანში ქართველი და რუსი ამომრჩევლები ვერ შეთანხმდნენ. ამის მიზეზი უმთავრესად ის არის, რომ რუსები თავიანთ მხრივ 7 ხმოსნის გაყვანას თხოულობენ.

კვირას, 13 მარტს, მე-6 საარჩევნო უბნის ქართველ ამომრჩევლებს კრება ჰქონდათ. არჩეულ იქმნა ბიურო, რომელიც 20 კაცისაგან შესდგებოდა. ბიურო, სხვათა შორის, უნდა მოელაპარაკოს სხვა ამომრჩეველთა ჯგუფებს. შემდეგი კრება ექნება ჯგუფს პარასკევს, 18 ამა თვეს, საღამოს 8 საათზე ხარფუხის კლუბის დარბაზში.

13 მარტს კრება ჰქონდა პირველ საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა „განახლების ჯგუფს". თავმჯდომარეობდა ი. ი. კაჩუხოვი. ჯგუფმა შემდეგი პირები დაასახელა ხმოსნებად: დ. გ. ასათიანი, ი. ი. კაჩუხოვი, გ. მ. მიხაძე, გ. ი. ცინცაძე, ვ. ი. ჭიჭინაძე, ნ. კ. კესენიხი, კ. მ. ნაიდენოვი, ი. თ. პალმოვი, ი. პ. პეტროვი, რ. გ. აუშტროვი. ა. ა. მირაქოვი.

✦ **ქალაქთა კავშირის კრება.** თბილისის ქალაქის გამგეობის შემდეგი შინაარსის დეპეშა მოუვიდა მოსკოვიდან, მოსკოვის ქალაქის მოურავის ბ-ნ ჩელნოკოვისაგან: მთელი რუსეთის ქალაქთა კავშირის მეოთხე კრებამ, მოისმინა-რა ა. ი. ხატისოვის მოხსენება, გულწრფელ სალამს უძღვნის კავკასიის განყოფილებას ენერგიულ და ნაყოფიერ მოღვაწეობისთვის. კრებას იმედი აქვს, რომ კავკასია ახლო მომავალში ეღირსება უმაღლეს სასწავლებელს, საერობო დაწესებულებას და მოკლე რკინის გზას შიდა რუსეთთან დასაკავშირებლად. კრებას ამასთანავე იმედი აქვს, რომ ომის გამო კავკასიაში შემოხიზნულები ჩქარა დაუბრუნდებიან თავიანთ ადგილ-მამულს და მშვიდობიან ცხოვრებას შეუდგებიან.

✦ **სწრაფი მატარებლების მიმოსვლა** დღეიდან თბილის-პეტროგრად შუა შეცვლილია ამ გვარად: მატარებელი № 8 თბილისიდან ნაშუადღევის 3 საათსა და 48 წუთზე გავა. აღსტაფაში მივა 6 საათსა და 47 წ. სად. განჯაში 10 ს. 4 წ. სად., № 7 ბაქოდან წამოვა ღამის 11 საათზე და თბილისში მოვა ნაშუადღევის 4 ს. 2 წ. თბილისის დროზე.

✦ **ქალაქის არჩევნები.** 1 საარჩევნო უბანში მოლაპარაკებაა ინტერნაციონალ ჯგუფის შემადგენლობაზე.

დასახელებულია 8 რუსი, 4 ქართველი და 2 სომეხი.

— მეხუთე საარჩევნო უბანში ხმოსანთა სიაში შეტანილნი არიან: ა. ს. ბაბოვი, მ. ი. ბერბეროვი, მ. ი. ბლიოთკინი, პ. მ. კახიანი, ვ. დ. მამულოვი, ს. ა. მინეევი, პ. ი. სოსინი და ნ. გ. ხარაზიანი.

✦ **დირექტორების დატუსაღება.** 12 მარტს დაატუსაღეს და მეტეხის ციხეში გაგზავნეს ადელხანოვისა და ამხ. სააქციონერო საზოგადოების დირექტორები ადელხანოვის შვილი და ბ-ნი სერებრიაკოვი.

✦ **უბედური შემთხვევა.** გუშინ, 14 მარტს, დილის 11 საათზე, სემინარიის ძველ შენობასთან ვიღაც სუფთად ჩაცმული ქალი ტრამვაის ვაგონს მოჰყვა ქვეშ და ვაგონმა ორივე ფეხი მოამტვრია. იქაურობა სისხლით შეიღება. დაშავებული სწრაფ მშველელი ეტლით გაგზავნეს საავათმყოფოში.

✦ **მშობელთა წრე.** კვირას, 13 მარტს, მორიგი კრება ჰქონდა ქართულ გიმნაზიის მოსწავლეთა მშობელთა წრეს. კრებას უნდა განეხილა წრის მოქმედებისა და შემოსავალ-გასავლის ანგარიში, მაგრამ რადგან სარევიზიო კომისიამ თავისი მოხსენება ამ ანგარიშის შესახებ ამავე კრებაზე წარმოადგინა და მისი გაცნობა ასე ხელად შეუძლებელი იყო, ანგარიშის განხილვა შემდეგისათვის გადაიდვა. შემდეგ კრებამ ითათბირა მოსწავლეთა საუზმის შესახებ და სურვილი გამოსთქვა, რომ უსაუზმოდ არც ერთი მოსწავლე არ დარჩეს, რისთვისაც მშობლების მხრივ საჭიროა თვეში 2 მანეთის შემოტანა. ამ საქმის მოსაწესრიგებლად და აგრეთვე გიმნაზიასთან არსებულ სამზარეულოს გასაუმჯობესებლად კრებამ განსაკუთრებული კომისია აირჩია, რომელიც 6 კაცისაგან შესდგება.

✦ კვირას, 13 მარტს, გორში მოხდა კრება მაზრის თავად-აზნაურობისა. კრება მრავალ რიცხოვანი იყო და ბევრი საგულისხმიერო დადგენილება მიიღო. დაწვრილებით ცნობას შემდეგ დავბეჭდავთ.

✦ **სამკურნალო ადგილების** კომისიის სხდომაზე გადაწყდა გამოიკვლიონ ადგილობრივ ჩრდილო ოსეთის სამკურნალო ადგილები, საქართველოს სამხედრო გზის სადგურ კობიდან თრუსოს უღელტეხილით ალაგირამდე. ამ ადგილების გამოკვლევა სპეციალისტს კ. ფ. განს მიანდვეს.

✦ **გენაგეჩაკის ლობიო.** მიწადმოქმედების სამინისტროს გადაუწყვეტია მოაშენოს 500 დესეტინა მიწაზე გენაგეჩაკის ლობიო (სასაქმებელ ზეთის მოსამზადებელი მასალა). რადგან ამ მცენარისათვის შესაფერისი ჰავა და ნიადაგი მომეტებულ ნაწილად ჩვენში მოიპოვება, სამინისტროს რწმუნებული კავკასიაში წინადადებას აძლევს ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს გამოარკვიოს, არის თუ არა აქაურ მემამულეთა შორის მსურველი მოაშენოს ეს მცენარე. საჭირო თესლს მცენარისას მიწადმოქმედების დეპარტამენტი გამოუგზავნის მსურველს, ხოლო მთელ მოსავალს კარგ ფასებში იყიდის აღნიშნული სამინისტრო, რომელიც ბესაც დაურიგებს მცენარის გამშენებელთ.

✦ **საავადმყოფოს გადატანა.** ვაქთა მეორე გიმნაზიის მშობელთა წრემ შუამდგომლობა აღძრა მეფის ნაცვლის წინაშე ამ გიმნაზიაში მოთავსებულ დაჭრილ და ავადმყოფ მეომართა საავადმყოფოს გადატანის შესახებ.

✦ **შემოიტანეს** თბილისში 12 მარტს: ფქვილი 53 ვაგ., სიმინდი 1 ვაგ., ქერი 1 ვაგ.. შაქარი 14 ვაგ., შაქრის ფქვილი 1 ვაგ., მარილი 3 ვაგ., შეშა 23 ვაგ., ღვინო 1 ვაგ., კირი 1 ვაგ., გაუწმენდავი ნავთი 8 ვაგ., ზეთი 1 ვაგონი.

✦ **ქალაქმა უსახელო საზოგადოების სასარგებლოდ** შეიტანა სასამართლოში პირველი გადასახადი 77380 მანეთი.

✦ **სკოლის მზრუნველად** საქართ. ექსარხოსმა პლატონმა თანახმად წმ. ნიკოლოზის სამრევლო სკოლის გამგის დეკ. სოლომონ შოშიაშვილის წარდგენისა ამ სკოლის მზრუნველად დაამტკიცა ილია მიხეილის ძე ხარაშვილი იმ უხვ დახმარებისათვის, რომელსაც ბ-ნი ხარაშვილი უწევს ამ სკოლას.

✦ **ფილარმონიულ საზოგადოების თხოვნა.** ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ქ. შ. წ. კ. გამ. საზ. გამგეობის წინაშე, რათა გამგეობამ თავის მხრივ 200 მანეთით დახმარება აღმოუჩინოს საზოგადოებას დასავლეთ საქართველოს სიმღერა-გალობის ფონოგრაფით შეკრების საქმეში.

✦ **ხახელოსნო შემნახვ.-გამსესხ. ამხ—ში.** მიმდინარე წლის 1 იანვრისთვის ამხანაგობას სარეზერვო თანხა ჰქონია 9668 მ. ძირითადი 1450 მ. სათადარიგო—700 მან. განსაკუთრებული 1302 მ. 39 კ. წმინდა მოგება ამხანაგობას დარჩენია 1219 მ. 63 კ.

✦ **ბავშვების დილა.** ომისაგან დაზარალებულ ოჯახთა მზრუნავი კომიტეტი 25 მარტს ზუბალაშვილის სახლში მართავს დილას, სათადარიგო ჯარისკაცთა შვილებისათვის.

✦ **საფოსტო კანტორა** გუშინდლიდან ახალ სადგომში გადავიდა, მიხეილის ქ. და კოლონიის ქ. კუთხეში.

✦ **ხოლერის ნიშნები.** ქალაქის საავადმყოფოში გარდაცვლილ ე. ზურაბოვის შიგნეულობის საკანტროლო ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევის შემდეგ უტყუარი ნიშნები ხოლერისა აღმოჩნდა. ვინც მიცვალებულს უვლიდა განაცალკევეს და სასტიკი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან. მიღებულია შესაფერი სადეზინფექციო ზომები.

✦ **გეოგრაფიულ საზოგადოებაში.** ის 1000 მანეთი, რომელიც სამიწადმოქმედო დეპარტამენტმა გადასდო საიმპერატორო კავკასიის საგეოგრაფიო საზოგადოების განკარგულებაში, უნდა მოხმარდეს ოსმალეთის დაპყრობილ ადგილებში საგეოლოგო, ბოტანიკურ, ზოოლოგიურ და ეტნოგრაფიულ გამოკვლევათა მოსახდენად.

✦ **სამაჰმადიანო საქართველოში,** მიღებულ ცნობების მიხედვით, კერძო პირთ აღარ აძლევენ გაპარტახებულ მამულებს იჯარით. ეს მამულები იჯარით უნდა მიეცეს მხოლოდ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას. აღნიშნულ ადგილას ძალიან იკიდებენ ფეხს კოოპერატივები. განზრახულია რამდენიმე ადგილას დაარსდეს მომხმარებელი საზოგადოება.

# არჩევნების გამო

მას შემდეგ რაც თბილისში ქალაქის თვითმართველობა შემოიღეს, ქართველობა, როგორც ეროვნება, სათვალავში ჩაგდებული არ არის. ქართველობის საარჩევნო უფლება სრულიად გაუქმებულია. ასე წარმოიდგინეთ, ქართველობას, რომელიც თბილისის მცხოვრებთა ერთ მეოთხედს შეადგენს, ერთჯერაც არ ღირსებია რომ საკუთარის ძალით თავისი წარმომადგენელი გაეყვანა. ქართველობა ათქვეფილია სომხობის უმრავლესობაში; და ეს უმრავლესობა მას სრულიად აბათილებს და ხმას ჩაუწყვეტს. თითო-ოროლა ქართველი, რომელიც არჩევნების დროს თვითმართველობას მოჰყოლია, ყოველთვის სომხობის სურვილით ყოფილა არჩეული. გაბატონებული უმრავლესობა მოეპრიანებოდა აირჩევდა ქართველ ხმოსანს, მოეპრიანებოდა არა. ხოლო არჩევით, ისეთ პირს აირჩევდა, რომელი ცარა ქართველთა ინტერესს უჯობდა, არამედ მის, სომხობის ინტერესს. ამისთვის იყო რომ ამ ოციოდე წლის წინად ქართველობის სიამაყის ილია ჭავჭავაძის და ნიკო ნიკოლაძის კანდიდატურას თბილისის სომხობა არ იწყნარებდა, ებრძოდა თავის ძლევა-მოსილებით და მათ სამაგიეროდ თითონ ასახელებდა ქართველობის კანდიდატად ვლ. მიქელაძეს, ვის არჩევასაც თვით სომხობა თავის ხარჯით კისრულობდა. მთელი ქართველობის სასურველი და სანუკვარი წარმომადგენლები ამ რიგად სომხობამ ახლოს არ გაიკარა და თავის მხრით ქართველობას თვით დაუნიშნა წარმომადგენელი! ხოლო თუ ვინმე არჩეული უცნობი ქართველი მოუსვენარი და ქართველობის ინტერესების მედგარი დამცველი გამოდგებოდა, იმას შემდეგ არჩევნებზე აშავებდენ. და ასე იყო წარსულში. ასეა დღესაც. ეს სრულიად ბუნებრივია. ვინ გიჟი აირჩევს იმას ვინც კბილის მატლად გადაექცევა. ასეა თუ ისე, ქართველობა როგორც უმცირესობა, დღეს სრულებით არაფერს ნიშნავს ქალაქის თვითმართველობაში; მისი ეროვნული საარჩევნო უფლება გათელილია. თავის დედა-ქალაქის ცხოვრებიდან ქართველობა ფაქტიურად განდევნილია. ქართველი ამომრჩევლის უფლება დაცული არ არის. ეს აშკარა უსამართლობაა, რომლის ხანგრძლივად ატანა ყოვლად შეუძლებელია. ჩვენ მოვითხოვთ დაცულ იქმნას ეს უმცირესობის უფლება; იმ ერის უმცირესობის უფლება, ვისიც დედა-ქალაქია თბილისი და რომლის დაბა-სოფელ-ქალაქები თბილისს დარაჯებად გარს შემოდგომიან. უმრავლესობას უნდა წაერთვას საშუალება უმცირესობის ჩაკვლა-ჩაყლაპვისა. ერთი და იგივე საფუძველი თანაბრად უნდა იცავდეს როგორც უმრავლესობას, ისე უმცირესობას. ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც თბილისში შემოღებულ იქმნება ეროვნებათა პროპორციული წარმომადგენლობა. თითეულ ეროვნებას იმდენი ხმოსანი უნდა მიეცეს, რამდენიც მის რიცხვს შეეფერება. სიტყვაზე, თუ ქართველი ამომრჩეველია ათასხუთასი, ხოლო სომხისა—სამი ათასი, სომხობას ორჯელ მეტი ხმოსანი ეყოლება, ვიდრე ქართველობას. მაგრამ ქართველობას თავისი ხვედრი—ნახევარი ყოველ მიზეზისა და პირობის გარეშე მიეცემა. არჩევნებში სომხობა, როგორც ეროვნება, ცალკე იქნება გამოყოფილი და ცალკე საარჩევნო ეროვნულ კურიას შეჰქმნის; ასევე ცალკე გამოყოფილად იქნება ქართველობა, ასევე ცალკე რუსობა, მაჰმადიანობა და სხვა. ამ ეროვნებათ ურთიერთ შორის საარჩევნო დავა და ქიშპი არ ექნებათ; თითეულს ეცოდინება, შემოღებული ნორმის (კოეფიციენტის) კვალობაზე, თუ რამდენი ხმოსანი ეყოლება ასარჩევი. და საარჩევნო ბრძოლა ამ ეროვნულ ერთეულებში იწარმოებს სოციალ-პოლიტიკურ-მოქალაქობრივ შემეცნების გარშემო. ერთი სიტყვით, ნამდვილი ბუნებრივი ხასიათი და შინაარსი მიეცემა ქალაქის წარმომადგენლობით ცხოვრებას. ამგვარად, პროპორციული პრინციპი იცავს უმცირესობას, რომელსაც თავისი თავი შეუგნია და არ სურს ვისმეს დაეჩაგვრინოს, იცავს თანამედროვე უმრავლესობის ძალასაც, ან უკეთ, ზღუდავს მის მადას, სპობს ეროვნებათა შორის ყველა იმ ზედმეტ უთანხმოებას, აყალ-მაყალს და გაღიზიანებას, რომელიც არჩევნების ნიადაგზე აღმოცენდება ხოლმე და თვით საარჩევნო ბრძოლას, თითეული ეროვნების ფარგალში, მოქალაქობრივ მოტივების გარშემო ატრიალებს და ცხოვრების წესიერი განვითარების ფაქტორად ჰხდის. პროპორციულ წარმომადგენლობას ეროვნებათა ურთიერთობაში კანონიერი რეგულიარიზაცია შეაქვს; იგი ერთად ერთი გარანტიაა იმისა, რომ თბილისში ქართველობა სხვისგან დამოუკიდებლივ თავის საარჩევნო ძალით თავის ნამდვილ წარმომადგენელს აირჩევს; ასე რომ ქალაქის თვითმართველობაში ქართველი ხმოსანი სომხების მოწყალებით და მათივე შერჩევით კი არ იქნება გაყვანილი, როგორც ეს იყო და არის, არამედ მხოლოდ ქართველების სურვილით და შერჩევით.

ყოველი შეგნებული ქართველის თავი და თავი საზრუნავი ის უნდა იყოს, თუ როგორ და რა გზით დაიცვას თავისი ეროვნული ინტერესი და უფლება. კერძოდ თბილისის საქალაქო არჩევნებში ქართული უმცირესობის დაცვა მხოლოდ ეროვნულ პროპორციულ წარმომადგენლობით შეიძლება; ეს უნდა შეიგნოს ქართველმა ამომრჩევლებმა და შეეცადოს თავისი ეროვნული საარჩევნო ხმა დაიხსნას ყოველგვარ შეთქმულობისაგან. ყოველი ჩვენი ნაბიჯი და საქმიანობა უნდა იყოს ეროვნული ინტერესისა და უფლების დაცვა-გამაგრება. დღეს თბილისის ქართველ ამომრჩეველთ ეს შეგნება უნდა ამოძრავებდეს. ჩვენთვის მხოლოდ ისეთი მოქალაქობრივი თუ ინტერეროვნული წესი და ურთიერთობაა მისაღები, რომელიც არ ლახავს ჩვენს ეროვნულ უფლებასა და თავმოყვარეობას. თავის დედა-ქალაქში ქართველობამ ეს დაკმაყოფილება უნდა მიიღოს, თუ არა და ათასის ხერხით და საშუალებით ებრძოლოს ქალაქის თვითმართველობასა და გამეფებულ უსამართლობას.

ს. კ.

# ირ. ევდოშვილის კრებული

ხელის მომწერთა, დამხმარე პირთა და აგენტების საგულისხმოდ ვაცხადებთ, რომ ირ. ევდოშვილის კრებული დაიბეჭდა და დასარიგებლად გამზადებულია. წიგნები ჯერ თბილისში დარიგდება. და ამავე დროს თანდათანობით სხვა დაბა-ქალაქებშიაც დაიგზავნება. თბილისის ხელის მომწერნი წიგნებს მიიღებენ ან ხელისმოწერის მიმღებთან, ან „საქართველოს“ რედაქციაში.

სხვა დაბა-ქალაქებში წიგნები დაეგზავნება პატივცემულ დამხმარეთ და აგენტებს, სადაც ხელის მომწერნი მიიღებენ წიგნებს.

რადგანაც წიგნები მხოლოდ იმდენი დაეგზავნებათ რამდენის სრული ფასიც (2 მ.) გამოგზავნილია, გთხოვთ დანარჩენი ფულის მოწოდებაც დააჩქარონ.

ფული და ყოველი წერილი ამ საქმის თაობაზე კეთილ ინებონ და გამოგზავნონ გაზ. „საქართველოს“ რედაქციაში.

პატივისცემით **ნ. კურდღელაშვილი.**

# სახელმწიფო სათათბირო

10 მარტის სხდომა.

(დასასრული)

**შინგაროვი** განაგრძობს სიტყვას საბანკო ოპერაციების შესახებ. როგორც ირკვევა ბანკებს აუარებელი სანოვაგე და სამხედრო უწყებისთვის საჭირო სურსათი ჰქონიათ. საკომერციო ოპერაციები კი ბანკებს წესდებით აკრძალული აქვთ. შინგაროვი ბრალს სდებს ფინანსთა მინისტრს, რომ ის ბანკების მოღვაწეობას თვალყურს არ ადევნებს. შინგაროვს შეაქვს შემდეგი ფორმულა: მივიღეთ მხედველობაში რომ ფინანსთა მინისტრი მოვალეა ბანკების მიერ სანოვაგის და სამხედრო საჭიროების საქონლით სპეკულიაციის წინააღმდეგ ყოველგვარი ზომები მიიღოს, სათათბირო მორიგ საკითხებზედ გადადის. შინგარიოვის წინადადება მიიღეს.

სათათბირო არჩევს შეკითხვას მინისტრთა თავმჯდომარისადმი, პოლიციის მიერ გამოცემულ მოწოდების თაობაზე. სადაც ებრაელებს სანოვაგის გაძვირებასა და ხურდა ფულის დამალვას აბრალებენ.

განმარტებას იძლევა პოლიციის დეპარტამენტის ვიცე-დირექტორი. ასეთი ცნობები მთავრობას ბლომად მოეპოვება, მაგრამ მთავრობას ეს ქუჩაში როდი გადააქვს. მთავრობა რა თქმა უნდა არ თანაუგრძნობს პროკლამაციებს, რომელსაც ხალხში დარბევა და არეულობების გამოწვევა შეუძლიანთ.

11 მარტის სხდომა.

თავმჯდომარეობს როძიანკო. **დრიზინცევი** კითხულობს საფინანსო კომისიის მოხსენებას ომიანობისაგან მიყენებულ ზარალის ანაზღაურებაზე. კომისია საჭიროდ სცნობს პირდაპირ მიყენებული ზარალის ანაზღაურებას.

**ფინანსთა მინისტრის ამხანაგი კუზმინსკი.** კანონი მიყენებულ ზარალს ორ შემთხვევაში ანაზღაურებს—რეკვიზიციის და მთავრობის ბრძანებით ქონების მოსპობის დროს ზარალის გადახდა ხაზინის მდგომარეობაზე, დამოკიდებული. ჯერ კიდევ ომისგან გამოწვეული დაზარალებაც არ არის გამორკვეული.

კომისიის მოხსენებას სათათბირო ღებულობს.

**მილიუკოვი** გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის თაობაზე ლაპარაკობს, ჩხეიძეს ეკამეთება და ამტკიცებს, რომ ეს ომი მთავრობათა ომი კი არ არის, არამედ ეროვნებათა ომიო. როგორც საფრანგეთში, ისე ინგლისში და სხვაგან მუშათა კლასი სავსებით იზიარებს სურვილს, რომ გერმანეთის ძლიერება შეიმუსროს, დადგება დრო, როდესაც გერმანეთის ძლიერება შესუსტდება და თვითონვე ჩამოაგდებს ზავზე ლაპარაკს. ზავი არ უნდა შევკრათ, სანამ ეს ხელსაყრელი არ იქნება ჩვენი მეომისათვის.

**თავმჯდომარე** აცხადებს 7 მარტის გარეშეთა დაუსწრებლად მომხდარ სხდომის ოქმს. ამ კრებაზე სათათბიროს გაურჩევია პუტილოვის ქარხანაში მომხდარ არეულობის საკითხი.

**ხაუტსოვი** პროტესტს აცხადებს, რომ ეს საკითხი ფარულ კრებაზედ გაირჩა. ქარხანაში მუშების ერთს ჯგუფს პირდაპირი კავშირი ჰქონდა საიდუმლო პოლიციასთან და მათის მეოხებით მუშების მეთაურებს იჭერდენ და ციხეში ამწყვდევდენ. საქმე ისე გამწვავდა, რომ მუშები ასეთს პირებს სცემდენ და ასახიჩრებდენო. ორატორს მუშათა მღელვარების მიზეზად მიაჩნია ის გარემოება, რომ მუშებს ხელფასი 40 პროც. მოუმატეს, ცხოვრება კი 100 პროც. მეტად გაძვირდა.

**სამხედრო მინისტრი** განმარტებას იძლევა, არკვევს ომის დროს სამხედრო სურსათის დამმზადებელ ქარხნებში მუშაობის შეჩერების მნიშვნელობას და ამტკიცებს: ამ საკითხში მთავრობა მუშების საჭიროებებს აკმაყოფილებდაო. პუტილოვის ქარხანას ამ არეულობის შემდეგ კონფისკაცია უყვეს და ეხლა მას სამხედრო უწყება აწარმოებსო.

**შიდლოვსკის** შეაქვს ფორმულა, სადაც ნათქვამია: ეხლა ყოველივე უნდა დაექვემდებაროს ომის საჭიროებებს და ამისათვის არავინ არ უნდა დაიშუროს მსხვერპლი. მთავრობა თუ მრეწველები ყურადღებით უნდა ექცეოდნენ მუშების სამართლიან მოთხოვნილებებს, რისთვისაც სათათბირო საჭიროდ სცნობს წმინდა ეკონომიური ხასიათის საპროფესიო კავშირების ნებადართვას—ქარხნებში და ფაბრიკებში მუშების და მეპატრონეების შემარიგებელ კამერების შემოღებას და სხ. ფორმულა მიიღეს. ამის შემდეგ სხდომა გარეშეთა დაუსწრებლად გაგრძელდა.

# ნოველები

## ელი და ლელი

(დასასრული)

— ვიცი და თუნდაც არ მცოდნოდა, შენი ეს ვნებით ატბორებული თვალები ყოველისფერს გამიმხელდა. გეუცნაურება ჩემი ქცევა, მაგრამ არა გსურს ჩემს სულშიაც ჩამოიხედო. ნუ იფიქრებ, ხორციელი ხორციელთა შორის იმიტომ ამოგირჩიე, რომ ქალთა შორის უპირატესი ხარ სილამაზით. არა, ოჰ, ელი! სილამაზე მიუწდომელია და შენთვის სახე რომ მოეცა, მომაკვდავთა შორის ჩაეწერებოდი. შენ ჩემთვის სული ხარ, სული, უსახო სული, როგორიცაა სული გრძნეული მარადისობის, სული, რომელიც სულთან დამღევს ვით ტკბილს მგოსანს ტკბილი ოცნება და ისე მეჩურჩულება, როგორც ჰაეროვან ზამბახის ვერცხლის ფურცელი, სული, რომელიც მაისის ვარდის სურნელებით თავზე მეხვევა, მეალერსება, მკოცნის, საიდუმლოთა საიდუმლო კოშკში შევყევარ. ბუნებით მხატვარს ზეშთამგონებლად მომევლინა. როცა ახლოს ვარ, სულ ვერ გამჩნევ, ხორციელება მაშორებს შენს სულს, სამაგიეროდ როს შორსა ხარ, ოჰ, მე მაშინ გცნობ, გცნობ და ალტაცებით გიმზერ მშვენიერების კურთხევასა, შენ დაგქათქათებ, მესაუბრები მთვარის შუქით მომხიბლელ ქვეყნიერებაზე, რომლის არსებობა ზმანებამ უწყის და უცოდველ სულის ოცნებამ. შენ ეთერი ხარ, თავისუფალი არსება, ზემიწიერი, მიუწდომელი, ღვთაებრივი. ასე მგონია, მარადისობის დაუსაბამობის შემეცნება შენ განასახიერე მეთქი. მზის ელვარება, სივრცის გრძნეულება, უწარსულოდ და უმომავლოდ უსაზღვრო ცად იქცა, ლაჟვარდ გუმბათად, რომელიც თვალს ვერსად ვერ გადაემალება, ყოველგანა ვჭვრეტთ ასე ახლოს და თანაც შორსა! სული შენი მარადისობაა, „ყოველთვის და არასოდეს“, ეს ჟრუანტელ მომგვრელი მათრობელა ტკბილი სიმბოლო.

— მაშ თუ ასეა, რად მიმირბი, რად არ მიმიღებ?!

— იმიტომ, ელი, რომ გეძიო ვით შემოქმედი...

* *

...ღამის შავმა მდუმარებამ ჩანთქა ორთავეს მძიმე სუნთქვა. არემარემაც მოიწყინა. მათმა სევდამ კაეშნის კაბით შეჰმოსა. სიო ამოიჭრა. შეარხია ყვავილთა ფოთლები. მათ ცვარნამი ჟუჟუნა ცრემლებად გადმოსცვივდათ და ავადმყოფ დედის ალერსით დაიმღერეს უკანასკნელი ნანინა.

— ელი, სთქვი რამე, სთქვი, ნუ ხარ ვარდის სამარესავით დადუმებული, ნუ, გამახარე. შენ სიცოცხლე ხარ და კაეშანს რა უნდა შენთან!

— ვსთქვა? მერე რაღა ვსთქვა? რა შეუძლიან გითხრას მზემ შემოდგომის დღეს, როდესაც გული დამდუღრებული აქვს და ღაპა-ღუპით ცრემლი სცვივა დამშრალ თვალთაგან? რა შეუძლიან გითხრას იმავ შემოდგომის ცამ, როცა მისი მზე წასულია, ტყვიის მანძილი ამძიმებს მის მკვნესარე გულს! რა შეუძლიან გიმღეროს. დაჭრილმა გედმა, როცა ფრთა მოტეხილი ძლივს აფარებს შავბნელად მდგარს კონცხს, ზღვის ზვირთებს გაურბის, იმ ზვირთებსა, სადაც იშვა, თვით ზვირთები კი ოდნავაც ყურს არ ათხოვებენ მის გულის კვნესას, შიშსა და ძრწოლას რომ განიცდის სიკვდილის წინა და ასე უდარდელად წითლად იღებავს ლურჯს ქათიბსა იმისი სისხლით, რომ მთვარის შუქზე მოთამაშე ფრიფებს ალისფერ კაბით ეკეკლუცონ თავმოწონებით! მზის სხივებში შობილი, სიხარულის აკვანში დარწეული შენ შეგხაროდა ჩემი სული, ათას ლოცვას შემოგწირავდა უმანკო ბავშვის ვედრებითა, მაგრამ შენ მე არ მიღებ, ისე გამირბი, როგორც ჩრდილი მოკისკისე ვარდის ფერ ცისკარს. მაშ ნუღარ გიკვირს, თუ შენ მე... აჰ, შენ მე...

ტირილი წასკდა.

— ელი, ელი...

— არაფერია, არაფერი... ეს ისე... ჩემს გულის პანაშვიდს ვიხდი... გულს ვიგლოვ, გულს... დამარხულ გულს... ის აღარა მაქვს... მოკვდა, ჩანაცრდა... ჩაიფერფლა...

[illegible] რა სასტიკი რამა ყოფილხარ...

მაგრამ ელი ყურს არ უგდებდა.

— ჩემს გულსა ვმარხავ... ხომ გესმის სამგლოვიარო ნივ-ნავი? ჰო-ო? გესმის, ხომ? მას შენ მიასვენებ... და... ამიტომაც უზომო ბედნიერებას ვგრძნობ... დიახ, დიახ, უზომოდ ბედნიერი უბედური ვარ...

— ელი...

— უზომოდ ბედნიერი უბედური ვარ, იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ... რომ... მიყვარხარ და შენ არ გეკუთვნი... შენც გიყვარვარ და არ მეკუთვნი...

ქვითინით მოეხვია. ლელიმ მიიყრდნო მისი თავი. შეჰნიშნა, რომ გული იმასაც აემდუღრა, ამოეტეხა და ნელთბილ აიაზმის წვეთად მარგალიტი წამოუგორდა. ხელი მიიშველა მოსაწმენდად, მაგრამ ვიდრე მოსცხებდა, ის დაგორდა და ელის ცრემლებში აიზილა.

ლელიმ მწარედ ამოიკვნესა. ცრემლმა მისი თვალი. დააცქერდა ამ გულის სარკეს და მხოლოდ ეხლა შეჰნიშნა, ელი არ სტყუოდა: იმისი გული მის გულში ჩამარხულიყო ვით წითელ ვარდის საიდუმლო მთრთოლავ საფლავში. ვერ მოითმინა. აქვითინებული ელი მიიკრა გულში და ოდნავ გასაგონარის ხმით ჩასჩურჩულა:

— იცი, ელი, მეც... მეც... უბედური ბედნიერი ვარ... ცრემლის სარკეში დავინახე... ცრემლის სარკეში... ჩემი გული შენს გულში ისეა დამარხული, როგორც რომ შენი ჩემს მკვდარ გულში...

ერთმანეთს მოეხვივნენ. უხმო ქვითინი მთვარის სხივებმა წარიტაცეს ვერცხლის ფერ ნავით.

დ. კ—ძე.

# სასულიერო კონცერტი

ბ-ნ ი. კარგარეთელის მიერ გამართულმა სასულიერო კონცერტმა ფიცხი კამათი გამოიწვია საზოგადოებაში: „ეს კილოები ქართული არ არის“,—გაიგონებდით ერთ ხმით, ვისაც ჩვენებურ სამ კილოიან გალობის იქით არა სწამს რა. „მუსიკა ევროპიულია, მაგრამ... ერთფეროვანი...“ ამბობდნენ მეორენი. სრულიადაც არა გვსურს ამ ორ ჯგუფში რომელიმეს მივემხროთ. მარტო ძველს სამს კილოზე დამყარება და ჩვენს საგალობელთა მაზე შეყინვა ეს იმისი მომასწავებელი იქნებოდა, რომ პროგრესი არა გვწამს. არა, ცხოვრებას თვითეულ ბორბლის გადატრიალებაზე ცვალებადობა მოაქვს და, მაშასადამე, ამ ცვალებადობას ხელი უნდა განიცადოს ჩვენმა საეკლესიო მუსიკამ. რაც შეეხება მეორეთა რწმუნებას მუსიკა ევროპიულია, მაგრამ მოსაწყენიაო, აქ მხოლოდ გემოვნების საკითხს უჩენია თავი და მიტომაც საკამათო არა არის რა. ვეცდებით გავარკვიოთ რაშია საქმე.

ზემოდ ვსთქვით, საეკლესიო მუსიკის შეყინვა ერთს წერტილზე ცოდვად მიგვაჩნია და რომ მოვინდომოთ კიდეც, ვერ შევძლებთ: დრო თავისას აიღებს. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს განვითარებად ვაღიაროთ თვით ჩვენს საგალობელთა სულის ჩაკვლა. მეორეც, ორ ხმად, თუ გნებავთ, რვა ხმად გადაკეთება ჩვენი სასულიერო საგალობლებისა მაშინ იქნება კარგი, თუ გაუმჯობესობა-განვითარება მართლა გაუმჯობესობა-განვითარება იქნებოდა. ამ მხრივ, არ ვიცით, ვინ რა აზრისაა ი. კარგარეთელის მიერ შემუშავებულ საგალობელ კილოებზე, პირადად კი იმას ვიტყვი, რომ ყველა მოსაწონი არ იყო. ავიღოთ ფარდის ახდისას შესრულებული „მეუფეო“. ეს საზოგადოდ სოფლის დიაკვნების მიერ თუ ევროპიულად დაყენებულ ხოროების მიერ მეექვსე ხმით იგალობების. დინჯი, ნათელი და ოდნავ სევდით შეფერილი კილო ავიწყებს ადამიანს ხორციელობას, იგი სული ხდება, სასოების მარაო ერთგვარს შვებას განაცდევინებს ტვირთმძიმეობით დაზიდულს მლოცველს. ი. კარგარეთელმა იმავე კილოს წართქმითი ხასიათი მისცა და სულ ერთიანად დაუკარგა ის დიადი ღირებულება, რაიც თან ახლავს საზოგადოდ ამ მეექვსე ხმას.

საზოგადოდ ჩვენი საეკლესიო საგალობელნი სხვათაგან თავიანთ მძიმე და სევდიანი კილოთი განსხვავდებიან. არის ხმა, რომელიც, უთუოდ, არა თუ განვითარებას, თვით სრულიად გარდაქმნასაც კი მოითხოვს. ი. კარგარეთელს ეს კარგად შეუგნია და,

მართლაც, ზოგი ჩინებულად შეუსრულებია. პირველი ღირებულება დადებითი, უთუოდ სიმკვირცხლეა. თუ საზოგადოება უკმაყოფილო დარჩა ამ საგალობლებით აიხსნება არა იმით, რომ დამუშავება აკლდეთ, ანუ დილეტანტურად იყოს გამომცხვარი, როგორც ბევრი ირწმუნებოდა, არამედ იმიტომ, რომ მშვენიერების ელფერი თვითონვე დააკარგვინა აღსრულების დროს. რომ ეს ასე არ ყოფილიყო, საკითხია, რად მოახდინა აუწერელი შთაბეჭდილება მისმა „კრებულმან წმიდამან“, „სამბრწყინვალებისა“, როცა იგი აგალობა თვითონ ბ-ნმა კარგარეთელმა, თუ არა ვცდები, აკაკის ერთ-ერთ დილაზე და სრულიად უეფექტოდ ჩაკვდა ამ საღამოს? მიზეზი ადვილად აიხსნება. იმ დროს ხორო ქალთაგან შესდგებოდა, თავისუფალი კრიალა დისკანტ-ალტები ანგელოზების ხმით ამ მკვირცხლს და ჰარმონიულს საგალობელს ფრიადის ნარნარებით ასრულებდნენ. სემინარიელთა ხორო ამავე საგალობელს ფუსტელით ასრულებდა, ხმა სცენაზევე კვდებოდა, ხმათა თავისუფალი ვიბრაცია, რომ გაშლილიყო და მსმენელთა ყურამდე სამო ტალღით მოსულიყო, პირველ რიგშივე იხშობოდა და მიტომაც საგალობელმა დაჰკარგა ის დადებითი ღირებულება, რასაც აკაკის დილაზე დამსწრე საზოგადოება აღტაცებით შეეგება.

ამავე მიზეზით აიხსნება ი. მონადირიშვილის „გუნდნი ანგელოსთანის“ უეფექტობა. ჩემში წარუშლელია და სამარადისო ტკბილ ხსოვნად დარჩება ამ საგალობლის შთაბეჭდილებანი, რაიც მოუხდენია მას ძველად, როცა ძველს ქვაშვეთის ტაძარში თვითონ ბ-ნ ი. მონადირიშვილის ხელმძღვანელობით მის ხოროს შეუსრულებია. მისი ქალ-ვაჟთა გუნდი იმ დროს სახელოვანი იყო ახალის სულის შეტანით, საზოგადოებაც მრავალი ესწრებოდა და ეს ნომერიც ერთი საუკეთესო ნიმუშთაგანი იყო, რის მოსასმენად განგებ მოდიოდნენ ხოლმე თვით ათეისტებიც კი, ვისაც ხელოვნება უფრო აინტერესებდა, ვიდრე ეკლესიაში მომხდარი მღვდელმსახურება. მერე რა მოხდა ამ საღამოს? წავიდა, გაჰქრა. ხოროს ამ საგალობელით ისევე არ მოუხდენია შთაბეჭდილება, როგორც „სამბრწყინვალებისათი“.

ი. კარგარეთელის ხელს ვერ დაუმუშავებია „დიდება მაღალთა შინა“ც. ეს ჩვენ საგალობელთა შორის შედევრია. მომისმენია იგი სამს ხმაზე, მომისმენია ბენაშვილის მიერ გადაკეთებული და ყოველთვის დიდი კმაყოფილი დავრჩენილვარ. ჰარმონია ი. კარგარეთლისა აჩქარებისა გამო ჰკარგავს ხმატკბილობის იმ ჯადოსნურს ძლიერებას, რომლითაც აღჭურვეს ეს საგალობელი ჩვენმა მამაპაპებმა.

კიდევ ერთი რამ შენიშვნა. კარგარეთელის მიერ გადაკეთებულს საგალობლებს ხშირად განახევრებული მეტყველებაცა აქვსთ, ე. ი. ევროპიული ელფერი მთელს ჰარმონიას კი არ აძევს, არამედ ნახევარს, მეორე ნახევარი კი ჩვენი რჩება. მაგალითად, მისი „ნეტარ არიან“ თუ პირველი სრულიად უცხო, (არ ვიტყვით უცნაურს, რადგან ასეთი ტემბრით დაწყება სლავიანურს საგალობელთა შორის მრავალია) უეცრივ მეორე ნახევრიდან ჩვენს კილოზე გადადის. პირველით გამოსროლილი ლოდი აქ გეშვებათ, აქ ჰგრძობთ სიმშვიდეს, მღელვარების შეკავებას. შთაბეჭდილება ასეთის ნაწარმოებისა წაავავს იმ შთაბეჭდილებას, რაიც შეგვეძლო გამოგვეტანა იმ დერციკის შეკერილი სერთუკიდან, რომელსაც სახელოებს ქულაჯისას გაუკეთებდა და კალთებს კი ფრაკისას.

საზოგადოდ, უნდა ითქვას, კონცერტმა სასურველი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. მიუხედავად ამისა, ბ-ნი კარგარეთელი მაინც მადლობის ღირსია თუნდა იმიტომ, რომ ბევრი უმუშავნია, ბევრი გადაუღია ნოტებზე, რაც აქნობამდე იკითხებოდა. თქმა არ უნდა, მას მიმბაძველებიც გამოუჩნდებიან წარმატებისკენ ნაბიჯის გადასადგმელად. „წინა კაცი უკანასი ხიდიაო“,—ამ შემთხვევაში ერთ წინაკაცთაგანად ჩვენს საეკლესიო საგალობელთა განვითარებაში ბ-ნი ი. კარგარეთელიც ურევია.

დიოგენი.

P. S. კონცერტის დამატებად ხალხის თხოვნით საერო სიმღერებიც შეასრულეს: „იავნანა“ და „ია მთაზედაო“. არსებითად ორივე სიმღერა საეკლესიო კილოებიდან არაფრით განსხვავდება და ამიტომაც დაღვრემილ საზოგადოებაში სიცოცხლე არ შეუტანია.

დ.

## ღია წერილი

**„ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა კავშირის“ წევრთა საყურადღებოდ.**

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საზოგადო კრებამ 23 თებერვლის, ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთა თანადასწრებით, იქონია მსჯელობა იმის შესახებ თუ როგორ მოაწყოს საქმე, რომ ჩვენს ეროვნულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს ყოველი ქართული გამოცემა ექნეს უკლებლივ და სამუდამოდ. როგორც მოგეხსენებათ, დღემდე მარტო წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავში იკრიბებოდა ჩვენებურ გამოცემათა თითო-ოროლა ცალი; მაგრამ გამოცემათა ფრიად დიდი ნაწილი არც ამ წიგნთსაცავშია; და რაც არის, ისიც ისეთს ქაღალდზეა დაბეჭდილი და ხშირი ხმარებისაგან იმზომად დაზიანებული, რომ ნახევარ საუკუნესაც ვეღარ გასძლებს. საზოგადოდ ჩვენებური გამოცემანი ფრიად უვარგის ქაღალდზე იბეჭდებოდა და იბეჭდება; და რაც იბეჭდება, ისიც არ ეგზავნება წესიერად ჩვენს ეროვნულ მთავარ წიგნთსაცავებს. გაივლის ერთი საუკუნე და შესაძლოა ამ გამოცემათა ხსენებაც კი მოისპოს.

აუცილებლად საჭიროა, ჩვენი ეროვნული ბიბლიოთეკებისათვის, ყოველი ქართული გამოცემის რამოდენიმე ცალი საუკეთესო (გამძლე) ქაღალდზე იბეჭდებოდეს და ინახებოდეს მომავალ თაობისთვის. ამაში თვით რედაქციებიც დაინტერესებულნი უნდა იყონ; დაინტერესებული უნდა იყოს მთელი კულტურული ქართველობაც და უპირველეს ყოვლისა მისი საკულტურო-საგანმანათლებლო დაწესებულებანი.

უეჭველია ზედმეტი ცალების დამზადება (კარგ ქაღალდზე) ხარჯებს მოითხოვს და ეს ხარჯები მთელმა კულტურულმა ქართველობამ უნდა გაინაწილოს. ამიტომ „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ კრებამ საჭიროდ სცნო ამ საგნის შესახებ მოხსენება წარუდგინოს ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა კავშირის კრებას, რომელიც აპრილის შუა რიცხვებში მოხდება. რადგან საჭიროა, რომ კავშირის წევრები იმ კრებაზე ამ საგნის შესახებ წინდაწინვე გარკვეულის აზრით მობრძანდნენ,—საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო მიმართავს აღნიშნულ კავშირის წევრთ (დაწესებულებებს) და სთხოვს: თავის დელეგატებს ამ საგნის შესახებ შესაფერი დირექტივები მისცენ, სახელდობრ გამოიტანონ ადგილობრივი დადგენილება—თანახმანი იქნებიან თუ არა დაწესებულებანი იტვირთონ ხარჯები აღნიშნული საქმის მოსაწყობად და სახელდობრ, დაახლოვებით რა წვლილის გამოღებას შესძლებდენ იგინი ამ საქმისათვის.

**„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ საბჭო.**

—

P. S. ვთხოვთ ეს წერილი ქუთათურმა გაზეთებმაც გადაბეჭდონ.

## დაბა-სოფლები

**დ. ცხინვალი.** (გორის მაზრა) როგორც გაზეთებმა გვამცნეს, დ. ცხინვალის ნოტარიუსი, ხაჩატურ არშაკოვიჩ გრიგორიანცი, მთავრობამ სამსახურიდან დაითხოვა, რადგანაც მას თავისი მოვალეობა სინიდისიერად არ შეუსრულებია. ამ ამბავის გამომჟღავნებამ, როგორც ცხინვალის მცხოვრებნი, აგრეთვე ისინი, ვისაც რამე საქმე ჰქონია მასთან ჩაბარებული, საგონებელში ჩააგდო. შერცხვენილმა გრიგორიანცმა ცხინვალი დასტოვა და როგორც ამბობენ თბილისისაკენ გასწია საქმეების „მოსაგვარებლად“. დღეს, როგორც ირკვევა, მას თავის კლიენტების ფული 4—6000 მანეთამდე წაუღია და ბევრი საგონებელს მისცემია. თურმე ხ. გრიგორიანცი ფულის დაბრუნებას არა ფიქრობს; ცხინვალელებს ნუგეშად ის დარჩათ, რომ ერთმა ებრაელმა, რომლისგანაც 300 მან. ჰქონდა წაღებული, სახლის ავეჯეულობა აუწერა.

ხ. გრიგორიანცი ცხინვალში სხვა დარგშიაც „მოღვაწეობდა“. მან ყველა სომხები დარაზმა და ისედაც ქართველ-სომეხთა გამწვავებულ საკითხს ართულებდა. დღეს ცხინვალელი სომხები, რომლებიც ხ. გრიგორიანცის მოტრფიალენი იყვნენ, დარცხვენილები დაიარებიან.

როგორც ხმა გავრცელდა ცხინვალში, გრიგორიანცი დაუპატიმრებიათ, მაგრამ რამდენად ეს მართალია არავინ იცის.

— გორის მაზრაში დიდი ძარცვა-გლეჯაა გავრცელებული, როგორც ვიცით რამდენიმე ეკლესია გაძარცვეს. ამის გამო მღვდლებს მოწერილობები დაეგზავნათ თავიანთ მთავრობისაგან, რითაც ავალებდნენ, რომ ძვირფასი ხატები და ვერცხლეულობა ეკლესიებიდან გაიტანონ და დამალონ. დღეს რომ სოფლის ეკლესიაში შეხვიდეთ, საცოდავ სურათს იხილავთ, რადგანაც ყველა ღირს-შესანიშნავი ხატები დამალულია.

— ცხინვალის ხეობის სოფლებში, ღამე თუ დღე ყარაულები დგანან. ყარაულების ხარჯს სოფელი იხდის. მაგალითად: ს. ქვემო-ნიქოზი ორ ყარაულს წელიწადში ორმოც თუმანს აძლევს. თითქმის ესევეა სხვა სოფლებშიც.

სოფლის სხვა ხარჯებს ეს ხარჯიც მიემატა, მაგრამ განა სოფელი შესძლებს ამ გვარ ხარჯს? ესე ნელ-ნელა სოფელს თუ რამე შეძლება აქვს, ხელიდან ეცლება, ჩვენის აზრით თვით ადგილობრივი საზოგადოება უნდა შეკავშირდეს და შეიძლება ამ გვარად ძარცვა-გლეჯა შეჰკვეცეს.

სოფლელმა გლეხმა, რომ სთქვას: ეხლა შეუძლებელია სოფლად ცხოვრებაო, განა ამაზე მეტი უბედურება გინდათ? დღეს-კი ყველა სოფელი ამას გაიძახის.

— 11 მარტს ცხინვალში და ახლო მახლო სოფლებში ცხენების მობილიზაცია მოხდა. მეეტლეების ცხენებიც მიჰყავთ და თუ არ შეაჩერეს მათი ცხენების წაყვანა, ცხინვალი და მისი ხეობა მოსწყდება ქ. გორს და მით მცხოვრებნი გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩაცვივდებიან. მაგალითად, 11 მარტს, როდესაც ცხენების მობილიზაცია მოახდინეს, მეეტლეებმა პირობა შეჰკრეს, წაყვანაზე მგზავრებს უარი უთხრეს და ბევრი უკან დაუბრუნეს, ამის გამო ბევრს გორში ამ დღეს ფეხით და ურმით მოუხდათ წასვლა (ცხინვალიდან გორამდე 30 ვერსია).

სასურველია ცხინვალელებმა ყურად იღონ ეს გარემოება და სთხოვონ თბილისის გუბერნატორს, რათა მეეტლეების ცხენები მობილიზაციიდან გაანთავისუფლონ, უკიდურეს შემთხვევაში ცხენების შემცირებით მეეტლეები უფრო ფასს ასწევენ და თუ დღეს ცხინვალიდან გორამდე თითო ადგილი 3 მ. 50 კაპეიკამდე ფასობს (ომამდე ღირდა 80 კ.—1 მ. 50 კ.) მალე ხუთ მანეთამდე გააძვირებენ, მით უფრო რომ მათი „უსტაბაში“ ოსეფ მებურნუთოვი, რომელიც ყველაზე მეტ ეტლს ამუშავებს ცხინვალიდან გორამდე, დახელოვნებულია და ყოველ შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებს.

—

**ს. თამარაშენში.** (გორის მაზრა 7 მარტს ს. თამარაშნის მცხოვრებ გლეხ სოსე მინდიაშვილს ყაჩაღები თავს დაესხნენ და 600 მან. წაართვეს ამასთანავე თოფიც წაერთმიათ და მამა-შვილისათვის ძლიერ ეცემათ. ამ შემთხვევამ სოფლელები შეაშინა და მასთანავე მეტად აღაშფოთა..

პოლიციამ თურმე, მიაგნო, კვალს და ეჭვით უკვე შეიპყრეს ს. ფხვენისში, აქაურივე მცხოვრებლები ლუკა ომაძე და იასონ გაბარაშვილი. ამბობენ, ბოროტ განზრახვაში უკვე გამოტყდნენ და ამხანაგებს ასახელებენო. ამათ გარდა სხვებიც ეჭვით ბევრი შეუპყრიათ. საოცარი ის არის, რომ ზემოთ დასახელებული პირები, შეძლებულ ოჯახის პატრონები ყოფილან.

ფრინველელი.

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

**თბილისიდან გადის:**

| | | № | ს. წ. |
|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. მ. | 9 | . 8.53 საღ. |
| „ | საფ. „ | 3 | . 9.58 დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. „ | 19-20 | 3.20 ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი „ | 4 | . 10.20 საღ. |
| „ | ჩქარი „ | 6 | . 12.8 დღის |
| „ | სამგ. „ | 8 | . 11.13 ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | . 11.13 ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. მ. | 4 | . 9.30 საღ. |
| „ | სამგ. „ | 10 | . 9.51 დილ. |
| ბაქოდან | საფ. „ | 3 | . 9.3 დილ. |
| „ | ჩქარი „ | 5 | . 7.41 საღ. |
| „ | სამგ. „ | 7 | . 1.42 ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. „ | 19-20 | 7.25 დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | . 8.8 დილ. |

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ტფილისიდან . . | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 „ | 23 „ | „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 „ | 43 „ | „ |
| ვაზიანიდან . . | 10 „ | 42 „ | „ |
| იორიდან . . . | 11 „ | 35 „ | „ |
| საგარეჯოდან . . | 12 „ | 17 „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ | 15 | დღის |
| მელაანიდან . . . | 2 „ | 37 „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ | 08 „ | „ |
| ვაჩნაძიანიდან . . | 4 „ | 58 „ | „ |
| თელავში მიდის . | 5 „ | 35 „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ | 18 „ | „ |
| კარდენახიდან . . | 4 „ | 50 „ | „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ | 15 „ | „ |

**თელავიდან**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან . . . | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან . . | 9 „ | 45 „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 10 „ | 46 „ | „ |
| მელაანიდან . . | 12 „ | 02 „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ | 13 „ | დღის |
| საგარეჯოდან . . | 2 „ | 15 „ | „ |
| იორიდან . . . | 2 „ | 53 „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 3 „ | 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . | 4 „ | 31 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 4 „ | 46 „ | „ |
| თბილისში მიდის . | 5 „ | 01 „ | „ |
| წნორის-წყლიდან . | 9 ს. | 16 წ. | დილ. |
| კარდანახიდან . . | 9 „ | 46 „ | „ |
| გურჯაანში მოდის | 10 „ | 16 „ | „ |

## გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

> An die Kommandatur
> des Kriegsgefangenenlagers
> აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
> Liebesgaben für die russischen Kriegsgefangenen.
> აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
> Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse,

№ 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

**ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:**

> Швейцарія Заказное
> Suisse. Recommandée
> Comité International de la Croix Rouge.
> Agence des prisonniers de guerre Genève.


# ჯეჯილი

**საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი**

**ოცდა მეშვიდე წელიწადი**

ჯეჯილი დაარსებულია 1890 წ. გამოვა 1916 წ. თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა, პატარებისათვის და მოზრდილთათვის

## ჟურნალი „ჯეჯილი“

თბილისში ღირება 4 მან. ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მან. ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაპ., ხელის მოწერა მიიღება თბილისში—ჯეჯილის რედაქციაში (არტილერიის ქუჩა, № 5.) რედაქციაში ისყიდება ყველა 26 წლის ნომრები და რედაქციის გამოცემული საყმაწვილო წიგნები.

**ფოსტის ადრესი:** Въ Тифлисъ въ Ред Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.

რედაქტორ-გამომცემელი **ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.**



მოკლე ხანში ხელის მოწერით გამოვა

# კიკნა-ფშაველის

პოემათა და ლექსთა კრებული—ავტორის სურათით, ბიოგრაფია-წინასიტყვაობით და დ. კასრაძის კრიტიკული წერილით.

**ღირება ათ შაურად.**

**ხელის მოწერა შეიძლება**—თბილისში: „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციში; ალ. შარიკაძესთან—ტრამვაის მოსამსახურეებში; საშუალო სასწავლებლებში; გ. ქუჩიშვილთან—ქ. კულტ. მოყვ. საზ.; ალ. ძაძამიასთან—რკინის გზის სახელოსნოში და კერძო აგენტებთან. **თელავში**—**ნ. გოგოლაძესთან**—წ.-კ. გამ. საზ. მაღაზ.; **თიონეთში**—**ი. რიბალაშვილთან**—აფთიაქში; **გორში**—**თამ. მაკალატიასთან; ჩოხატაურში**—**აფთ. ცინცაძესთან; პეტროგრადში**—**სტუდ. ცირგილაძესთან; ხარკოვში**—**სტუდ. ალ. გრიგოლიასთან; დორპატში**—**სტუდ. გრ. ხერხეულიძესთან; მოსკოვში**—**სტუდ. ხარიძესთან და სხვა დაბა-ქალაქებში.**

# აბრეშუმის თესლი

**უკვე შემოზიდულია საფრანგეთიდან და მიღებული თბილისის სააბრეშუმო სადგურში.** თესლი ყვითელი აბრეშუმისაა, უკეთესი ხარისხის, უკვე ცნობილი კავკასიაში ღ განგებ გამოგზავნილი საქართველოში გასავრცელებლად.

თესლის მოვაჭრეთ ვთხოვ: **თბილისში მომმართონ პირდაპირ მე (სასტუმრო ორიანტი)** და თბილისის გარე—ჩემს წარმომადგენლებს: **ქუთაისში**—**ნ. ჭელიძეს, აბაშაში**—**იოსებ გეგენავას** და **ბათომში**—**ამბაკო ნადარეიშვილს.**

საფრანგეთის მეაბრეშუმეთა წარმომადგენელი, გამოგზავნილი საფრანგეთის მართებლობის მიერ.

(6—122—3) **ბადიმ კოსერი.**

# 1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

**დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ**

# „ნაკადულ“-ზე

**წელიწადი მეთორმეტე**

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ**

**24** წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი** 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 **წიგნი**—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

**ხელის მოწერა მიიღება**

**ტბილისში**—„ნაკადული“-ს რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули“, Головинскій пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალაძესთანა. **ფოთში**—ლუდმილა მეგრელიშვილთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში და სამსონ ყაზაიშვილთან უპრავაში. **ოზურგეთში ღ ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მარიამ ნაკაშიძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან. **მიხაილოვში**—გიორგი ნაკაიძესთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი **თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**

**წიგნის მაღაზია**

# „ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).

**ი. დ. კიკნაძისა.**

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

**ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის** და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეჰყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლაღიძის წყლის** ეტიკეტის ნიშანი შემდეგია:

ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო **სამრეწველო მინისტრის** მიერ პეტროგრადში ღ თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“



**მხოლოდ და მარტო ლაღიძის** წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვენით და მასთანვე

**სუნი და გემოც საამური აქვს**

წლ.

# თევზის მრეწველნი

# ძმ. ძეგველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

## განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა,** მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნი“ **ხიზილალა,** აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.


ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება“ აკალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.